



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

1962 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი


საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5225
00

- 26. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.
- 27. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ.
- 28. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 თებერვლის № 138 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ.
- 29. სარაიონთაშორისო გაზეთების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ
კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

- 30. საქართველოს სსრ საწარმოებსა და მშენებლობებზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები
- 31. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ.
- 32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 დეკემბრის № 1091 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ.



33. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
34. ნატურალური (გაურტყხავი) მატყლის შესყიდვის, კლასირებისა და გადარიდვის დროს მის წონაში დასაშვები გადახრების ნორმების შემცირების შესახებ.
35. საცალო ფასების დამტკიცების საკითხები.
36. სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობათა წარმოების გაფართოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
37. დვრიტის ნედლეულის დამზადებისა და ამ ნედლეულის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების გადიდების შესახებ.
38. „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწვეიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივნისის № 396 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
39. საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დებულების დამტკიცების შესახებ.
40. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 იანვრის № 71 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 თებერვლის № 190 დადგენილების მე-3 მუხლის გაუქმების შესახებ.
41. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამატების შესახებ.
42. იმის შესახებ, რომ შენარჩუნებულ იქნას გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში რძის, რძის პროდუქტებისა და კვერცხის ის შესასყიდი და საცალო ფასები, რომლებიც ზამთრის პერიოდში მოქმედებენ.
43. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 თებერვლის № 164 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 სექტემბრის № 1049 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.
44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 მარტის № 118 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
45. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 ნოემბრის № 74 დადგენილების გაუქმების შესახებ.
46. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 თებერვლის № 158 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილებები

26 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

სარეწაო კოოპერაციის არტელების სახელმწიფო საწარმოებად გარდაქმნასთან და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მათ გადაცემასთან დაკავშირებით, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „პორტრეტების, სკულპტურულ გამოსახულებათა და დროშების დამზადების და ვაგრცელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 28 აპრილის № 414 დადგენილების 1 მუხლის ქვებუნქტი „ე“ და მე-6 მუხლი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 29 ივნისის № 700 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს სისტემაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მოწყობის შესახებ“.

3. მუხლები 6, 8, 9 და 11, მე-13 მუხლის ქვებუნქტები „ა“ და „გ“, მუხ. 14, მე-15 მუხლის ქვებუნქტი „ბ“ და მუხლები 16 და 22 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 8 სექტემბრის № 507 დადგენილებისა „საქართველოს სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც სარეწაო კოოპერაციას შეეხება.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
3. მუხანაძე. **3. ჯავახიშვილი.**

27 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილება „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 მარტის დადგენილება „სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ“, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე — საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; კომიტეტის წევრები—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებს განაგებს, რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მინისტრი. შესაბამისად შეიქმნას სოფლის მეურნეობის კომიტეტები აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების მეთაურობით.

2. შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო.

ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო.

გაუქმდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და კადრების მომზადების მთავარი სამმართველო

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სტრუქტურა № 1 დანართის თანახმად.

3. მოეწყოს აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროები, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საოლქო სამმართველო.

ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროები აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველო.

4. შეიქმნას რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 20 ტერიტორიული საწარმოო სამმართველო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობისათვის, მათ შორის: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 2 და აჭარის ასს რესპუბლიკაში 2, № 2 დანართის თანახმად.

დამტკიცდეს ამ სამმართველოების სტრუქტურა, № 3 დანართის თანახმად.

5. დაეგზავნოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს სანიმუშო დებულება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების, სამმართველოებთან არსებული საბჭოებისა და ინსპექტორ-ორგანიზატორის შესახებ, № 4 დანართის თანახმად.

დაევალოთ ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შეიმუშაონ პროექტი დებულებისა მოცემული ზონისათვის და დასამტკიცებლად წარმოუდგინონ საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. შემოღებულ იქნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებში თანამდებობანი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კვ საოლქო კომიტეტების პარტორგებისა ინსტრუქტორთა ჯგუფით რესპუბლიკის პარტიული ბიუჯეტის შტატისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს ალკვ საოლქო კომიტეტების კომორგებისა ინსტრუქტორ-

თა ჯგუფით — რესპუბლიკის კომკავშირული ბიუჯეტის შტატისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე.

7. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან შეიქმნას საბჭოები სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით, საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნან: საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი, საოლქო კომიტეტის პარტორგი, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის კომორგი, საოლქო კომიტეტის კომორგი, საქართველოს კვ რაიკომების პირველი მდივნები, რაიკომების თავმჯდომარეები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების მმართველები, წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოების უფროსები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, სპეციალისტები, მეცნიერები.

8. დაუწესდეთ თანამდებობრივი განაკვეთები:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 მაისის № 411 დადგენილების შესაბამისად;

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარ სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეებს — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს წამყვანი სამმართველოების უფროსთა განაკვეთების დონეზე, ხოლო სხვა მუშაკებს — საქართველოს სსრ დამზადებათა ყოფილი სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის მოქმედი განაკვეთების დონეზე;

ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრების პირველ მოადგილეებს — იმ განაკვეთების დონის 10 პროცენტით, ხოლო მოადგილეებს — 15 პროცენტით ნაკლები, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 იანვრის № 93-56 დადგენილებით ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრებისათვის;

ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროების და ავტონომიური ოლქის სამმართველოს მუშაკებს — საბჭოთა მეურნეობების ტრესტების შესაბამის მუშაკთა იმ საანგარიშო განაკვეთებისა და

თანამდებობრივი სარგოს დონეზე, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 927 დადგენილებით;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს მუშაკებს — იმ საანგარიშო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოს დონეზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 927 დადგენილებით, ამასთან გათანაბრებულ იქნან აღნიშნული სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები შესაბამისად საბჭოთა მეურნეობების ტრესტების დირექტორებთან და მათ მოადგილეებთან;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორებს — საქართველოს სსრ დამზადებათა ყოფილი სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის რაიონული (სარაიონთაშორისო) ინსპექციების ინსპექტორების განაკვეთების (საანგარიშო განაკვეთების) დონეზე.

9. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნა უნდა განხორციელდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოფილი მთავარ სამმართველოს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის მოქმედი რაიონებისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს უზრუნველყოს ახლად შექმნილი სამინისტროს დაკომპლექტება მალაკვალი-ფიციური სპეციალისტებით და იმ მუშაკთა შრომითი მოწყობა, რომლებიც გათავისუფლებულ არიან სამინისტროებისა და უწყებების გაუქმებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კბ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
3. შუაგანაძე

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
3. ჯავახიშვილი.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 მარტის № 215 დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ მ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსი

მინისტრი

მინისტრის პირველი მოადგილე

მინისტრის მოადგილეები

მთავარი ინსპექციები რესპუბლიკის ზონების მიხედვით:

პირველი ზონა—აჭარის ასსრ, მახარაძისა და სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოები

მეორე ზონა — აფხაზეთის ასსრ, ცხაკაიასა და ზუგდიდის სამმართველოები

მესამე ზონა — ზესტაფონის, წყალტუბოსა და ამბროლაურის სამმართველოები

მეოთხე ზონა — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ახალციხის, გორისა და დუშეთის სამმართველოები

მეხუთე ზონა — ბოლნისის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, თელავის სამმართველოები და მერძვევობა-მეზოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი

მთავარი სპეციალისტები — ინსპექტორები სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგების მიხედვით

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და კადრების მომზადების

მთავარი სამმართველო შემდეგი განყოფილებებით:

მეცნიერებისა და მიწათმოქმედების მოწინავე გამოცდილების დანერგვისა,

მეცნიერებისა და სუბტროპიკულ კულტურათა მოწინავე გამოცდილების დანერგვისა;

მეცნიერებისა და მეზღვეობა-მევენახეობის მოწინავე გამოცდილების დანერგვისა,

მეცნიერებისა და მეცხოველეობის მოწინავე გამოცდილების დანერგვისა,

მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის მოწინავე გამოცდილების დანერგვისა, მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკო-

ნომიკის, სპეციალიზაციის და ორგანიზაციის მოწინავე
 გამოცდილების დანერგვისა,
 სიტყვიერი, ბეჭდვითი და თვალსაჩინო პროპაგანდისა და
 სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა
 სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების სამმარ-
 თველო,

სააგემო-საფინანსო სამმართველო განყოფილებებით:

- ა) დაგეგმვისა
- ბ) დაფინანსებისა
- გ) შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურებისა
- დ) ოპერატიული აღრიცხვისა და მიმოხილვისა.

ნიადაგის დაცვისა და გაუმჯობესების, მიწათსარგებლობისა და
 მიწის ფონდების სახელმწიფო აღრიცხვის სამმართველო

ვეტერინარიის სამმართველო

სანაშენო საქმის განყოფილება

მეთესლეობის განყოფილება

მცენარეთა დაცვის განყოფილება

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო

გადამუშავებისა და გასადების განყოფილება

კადრებისა და სპეცმუშაობის განყოფილება

ცენტრალური ბუღალტერია ბუღალტერ-რევიზორთა და ინს-

ტრუქტორ-ბუღალტერთა ჯგუფით

ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

**სამინისტროებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები და დაწე-
 სებულებები სამეურნეო ანგარიშზე**

პურის პროდუქტების მთავარი სამმართველო

მეაბრეშუმეობის სამმართველო

საქზოოვეტმომარაგების რესპუბლიკური კანტორა

მეფუტკრეობის სამმართველო

საქართველოს მეცხოველობის კანტორა

რესპუბლიკური კანტორა „საქხეხილთესლსანერგე“ სანერგე-
 მეურნეობებით



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 მარტის № 215 დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საზარმოო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

1. თელავის სამხრეთ-დასავლეთი

- თელავის რაიონი
- ახმეტის რაიონი
- ყვარლის რაიონი

2. გურჯაანის სამხრეთ-დასავლეთი

- გურჯაანის რაიონი
- საგარეჯოს რაიონი

3. სიღნაღის სამხრეთ-დასავლეთი

- სიღნაღის რაიონი
- წითელწყაროს რაიონი
- ლაგოდეხის რაიონი

4. ბოლნისის სამხრეთ-დასავლეთი

- ბოლნისის რაიონი
- მარნეულის რაიონი
- დმანისის რაიონი

5. მერქვეთა-მეზოსტანის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი (ტერიტორიული სამხრეთ-დასავლეთი უფლებებით)

- სამგორის რაიონი
- მცხეთის რაიონი
- მარნეულის რაიონი

ბოლნისის რაიონი
თეთრიწყაროს რაიონი
თიანეთის რაიონი
საგარეჯოს რაიონი

6. თეთრიწყაროს სამმართველო

თეთრიწყაროს რაიონი
წალკის რაიონი

7. დუშეთის სამმართველო

დუშეთის რაიონი
მცხეთის რაიონი
თიანეთის რაიონი
ყაზბეგის რაიონი

8. გორის სამმართველო

გორის რაიონი
ხაშურის რაიონი
ქარელის რაიონი
კასპის რაიონი

9. ახალციხის სამმართველო

ახალციხის რაიონი
ახალქალაქის რაიონი
ბორჯომის რაიონი

10. ზესტაფონის სამმართველო

ზესტაფონის რაიონი
თერჯოლის რაიონი
ორჯონიკიძის რაიონი
საჩხერის რაიონი
ჭიათურის კოლმეურნეობები

11. სამტრედიის სამმართველო

სამტრედიის რაიონი

წულუკიძის რაიონი
ვანის რაიონი

12. ამბროლაურის სამმართველო

ამბროლაურის რაიონი
ონის რაიონი
ცაგერის რაიონი
ლენტეხის რაიონი

13. წყალტუბოს სამმართველო

წყალტუბოს რაიონი
ტყიბულის რაიონი
მაიაკოვსკის რაიონი

14. მახარაძის სამმართველო

მახარაძის რაიონი -
ჩოხატაურის რაიონი
ლანჩხუთის რაიონი

15. ცხაკაიას სამმართველო

ცხაკაიას რაიონი
ჩხოროწყუს რაიონი
აბაშის რაიონი
გეგეჭკორის რაიონი

16. ზუგდიდის სამმართველო

ზუგდიდის რაიონი
წალენჯიხის რაიონი
ხობის რაიონი
მესტიის რაიონი
ფოთის საბჭოთა მეურნეობები

17. სოხუმის სამმართველო

სოხუმის რაიონი
ოჩამჩირის რაიონი
გალის რაიონი

18. გუდაუთის სამმართველო

გაგრის რაიონი
გუდაუთის რაიონი

19. ქობულეთის სამმართველო (ჩაქვი)

ქობულეთის რაიონი
ბათუმის რაიონი

20. შუახევის სამმართველო

შუახევის რაიონი
ქედის რაიონი
ხულოს რაიონი

საქართველოს კვ ცენტრალური კომი-
ტეტისა და საქართველოს სსრ მინისტ-
როს საბჭოს 1962 წლის 23 მარტის
№ 215 დადგენილების დანართი № 3

სანიმუშო სტრუქტურა

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული
საწარმოო სამმართველოსი

სამმართველოს უფროსი (იგივე საბჭოს თავმჯდომარე)
სამმართველოს უფროსის მოადგილე
ინსპექტორ-ორგანიზატორთა ჯგუფი (ერთი ინსპექტორი 5-10
მეურნეობაზე)
დაგეგმვის, დაფინანსებისა და აღრიცხვის განყოფილება
შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ბუღალტერიის განყო-
ფილება ბუღალტერ-რევიზორთა და ინსტრუქტორ-ბუღალტერ-
თა ჯგუფით
სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგების სპეციალისტთა
ჯგუფი (წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმართუ-
ლების მიხედვით)
ინსპექტორი კადრების დარგში
მომსახურე პერსონალის ჯგუფი

* *

*

ამის გარდა, სამმართველოსთან არსებობს შემდეგი ორგანიზაციები:

სახელმწიფო ვეტერინარული ქსელი
 სოფლის მეურნეობის ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების პუნქტები
 მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები
 სასუქებელი მეურნეობანი
 თესლის საკონტროლო ლაბორატორიები
 საკოლმეურნეობათა შორის საწარმოო გაერთიანებანი

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 მარტის № 215 დადგენილების დანართი № 4

სანიმუშო დებულება

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს, მის საბჭოსა და ინსპექტორ-ორგანიზატორის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველო შეიქმნება შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 მარტის დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ“.

2. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველო შეიქმნება რამდენიმე რაიონისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაოდენობის შესასყიდი პროდუქციის მოცულობის მიხედვით, აგრეთვე რაიონების სხვა ეკონომიურ და ტერიტორიულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველო ემორჩილება სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებისა და დამზადების სამინისტროს, აგრეთვე შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებს და ოლქის სამმართველოს.

3. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველო აგებულია დემოკრატიულ საფუძველზე, რისთვისაც იქმნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსი — საბჭოს თავმჯდომარე და წევრები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი, საქართველოს კპ საოლქო კომიტეტის პარტორგი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი, საქართველოს ალკკ საოლქო კომიტეტის კომორგი, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რაიადმასკომების თავმჯდომარეები, „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებათა მმართველები, წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოების უფროსები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მეცნიერები.

ტერიტორიული სამმართველოს საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოსთან, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში შემავალ ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან არსებულ საბჭოებს — შესაბამისად საქართველოს კპ საოლქო კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომი.

4. ტერიტორიული საწარმოო სამმართველო ახორციელებს ხელმძღვანელობას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობისადმი, რომლებიც მოქმედებენ დადგენილი წესით დამტკიცებულ დებულებათა და წესდებათა საფუძველზე.

5. ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი. სამმართველოს თავის შემადგენლობაში ჰყავს ინსპექტორ-ორგანიზატორები შემდეგი ანგარიშით: ერთი ინსპექტორი 5-10 მეურნეობაზე (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა), აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დარგების სპეციალისტები, საგეგმო და საფინანსო დარგის მუშაკები.

6. სამმართველოს უფროსს დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროები და ავტონომიური ოლქის სამმართველო.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ძირითადი ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი

7. ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს მთელი საქმიანობა უნდა წარიმართოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისაკენ, რათა უცილობლივ შესრულდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმები და შეიქმნას ფონდები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს ეკისრება:

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობისა და დამზადების საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და მათი განხორციელებისა და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლი;

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ წარმოების გეგმებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა;

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დაგეგმვა და აღრიცხვა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების და მათი წლიური ანგარიშების დამტკიცება;

— მიწათმოქმედების სათოხნი სისტემის, აგრეთვე ისეთი სათესი ფართობების რაციონალური სტრუქტურის შემუშავება და დანერგვა, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მივიღოთ პროდუქციის რაც შეიძლება მეტი გამოსავლიანობა სახნავი მიწის ერთ ჰექტარზე;



— მეტესლეობის ორგანიზაცია და იმისადმი კონტროლი, რომ უზრუნველყოფილ იქნას თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა საკუთარი მალაზხარისხოვანი ჯიშის თესლით;

— სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა პროფკავშირულ ორგანოებთან და საკოლმეურნეო საზოგადოებრიობასთან ერთად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის.

8. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

შეისწავლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებს იმ მიზნით, რომ გამოავლინოს რეზერვები და მაქსიმალურად გამოიყენოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გასაზრდებლად;

მოაწყობს და განახორციელებს ღონისძიებებს, რათა შემდგომ გადიდდეს საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაისი, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების სხვა პროდუქტების წარმოება;

8876

მოაწყობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის წარმოების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტების შემუშავებას, შეიმუშავებს და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აცნობებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმებს;

საწარმო-საფინანსო გეგმების პროექტების შემუშავება აუცილებლად უნდა წარმოებდეს საყრდენ-საჩვენებელი და სხვა საუკეთესო მეურნეობების მაგალითების მიხედვით, რომლებიც მოწინავენი არიან მიწის ეფექტიანად გამოყენებისა და სახნავი მიწის ერთ პექტარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოსავლიანობის მხრივ.

მოაწყობს საყრდენ-საჩვენებელი და სხვა საუკეთესო მეურნეობების გამოცდილების დანერგვას ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ამასთან უზრუნველყოფს ამ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელად გადიდებას;





შეიმუშავებს საუკეთესო საყრდენ-საჩვენებელ მეურნეობათა მაგალითზე ნიადაგის დამუშავების, თესვის, მრავალწლიანი ნარგავების მოვლის, მოსავლის აღებისა და ორგანული სასუქების დაგროვების წესებს;

მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების საუკეთესო უხე-მოსავლიანი, დარაინებული ჯიშებისა და ჰიბრიდების დანერგვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში;

დანერგავს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყვე-ლაზე ეფექტურ შხამქიმიკატებსა და ჰერბიციდებს, ამასთან გამო-იყენებს ამ სამუშაოთა მექანიზაციის საჭირო საშუალებებს და გან-ხორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მცენარეთა დაცვას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცენებლე-ბისა და დაავადებისაგან, აგრეთვე ბელის მცენებლების წინააღმ-დეგ ბრძოლის ღონისძიებებს;

მოაწყობს მუშაობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეო-ბებში ორგანული სასუქის დაგროვებისა და რაციონალურად გამო-ყენებისათვის;

უზრუნველყოფს თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მე-ურნეობაში ყველა სახეობის პირუტყვის და, განსაკუთრებით, ძრო-ხების სულადობის საჭირო ზრდას, სანაშენო საქმისა და ჯოგის კვლავ წარმოების გაუმჯობესების, მეცხოველეობის ადრეულა დარ-გების — მელორეობისა და მეფრინველეობის, აგრეთვე მეცხვარეო-ბის განვითარების საფუძველზე და მოაწყობს მუშაობას მსხვილფე-ხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის გასუქებისათვის;

შექმნის თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეო-ბაში მტკიცე საკვებ ბაზას სიმინდის, მარცვლეულ-პარკოსანი კულ-ტურების და შაქრის ჭარხლის ფართოდ დანერგვის ხარჯზე პირუ-ტყვის საკვებად და მოაწყობს საკვების სწორად გამოყენებას იმ ან-გარიშით, რომ საკვების წარმოება წინ უსწრებდეს მეცხოველეობის განვითარებას;

განაწილებს კონცენტრირებულ საკვებს, რომელიც გამოყო-ფილია საზოგადოებრივი მეცხოველეობის საჭიროებისათვის სახე-ლმწიფო რესურსებიდან, ამასთან გამოიყენებს ამ ფონდებს უწი-ნარეს ყოვლისა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასა-დიდებლად და სახელმწიფოსათვის მათ მისაყიდად;

უზრუნველყოფს ინფექციური სნეულებისაგან პირუტყვის დაა-ვადების თავიდან აცილების პროფილაქტიკურ ღონისძიებათა და



სხვა საჭირო ვეტერინარულ ღონისძიებათა უცილობლივ განხორციელებას;

ხელმძღვანელობას გაუწევს თესლის საკონტროლო ლაბორატორიების, აგროქიმიური ლაბორატორიების, სანაშენო საქმისა და პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურების, ვეტერინარული სამკურნალოებისა და უბნების, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების, მცენარეთა დაცვის და ბელლის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის რაზმებისა და პუნქტების მუშაობას;

მოწაწილეობას მიიღებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების პროექტების შემუშავებაში და განსაზღვრავს, თუ რა ოდენობით და ვადებში უნდა დაკმაყოფილდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განაცხადები მათთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, აგრეთვე სასუქებისა და სხვა მასალების მიყიდვის შესახებ, ამასთან გაითვალისწინებს, რომ საჭიროა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა უფრო ეფექტიანად გამოყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შესასრულებლად;

მოაწყობს მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაღალნაყოფიერად გამოყენებასა და კონტროლს გაუწევს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის სწორ ექსპლუატაციას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

მოაწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადებას დადგენილი წესით კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან;

მიამაგრებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმ პუნქტებსა და საწარმოებს, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღებას;

შეამოწმებს, თუ რამდენად სწორად განსაზღვრეს მიმღებმა პუნქტებმა და საწარმოებმა სოფლის მეურნეობის შესასყიდი პროდუქტებისა და ნედლეულის რაოდენობა და ხარისხი, აგრეთვე, თუ რამდენად სწორად და დროულად წარმოებს ანგარიშსწორება კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან მათ მიერ მიყიდული პროდუქციისათვის, განიხილავს უთანხმოებას ერთი მხრივ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და მეორე მხრივ მიმღებ პუნქტებსა და საწარმოებს შორის (თავისი საქმიანობის ზონის ფარგლებში) და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულოა ორივე მხარისათვის;

განახორციელებს კონტროლს ყველა მიმღები პუნქტისა და საწარმოს მუშაობისადმი ტექნიკური ბაზის დროულად მომზადების, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის შეუფერხებლად მიღების უზრუნველყოფისათვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესაბამისად, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის სრული დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის;

მიიღებს ზომებს, რათა გაფართოვდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირდაპირი კავშირითიერთობა სამრეწველო საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის დროს, იმ მიზნით, რომ შემცირდეს მიმოქცევის ხარჯები, არ იქნას დაშვებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის გაუარესება და სამრეწველო საწარმოებისა და სავაჭრო ქსელში ამ პროდუქციის მიწოდების ვადების დარღვევა;

განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა, სხვა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა, რომლებიც დაშვებული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესასყიდად, დაიცვან შესყიდვის წარმოების და სოფლის მეურნეობის იმ ნამეტი პროდუქტების კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ მიღების (მათ მიერ სახელმწიფოქათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმების შესრულების შემდეგ) პირობები, რომლებსაც სახელმწიფო არ ყიდულობს.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა დაარღვიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და საკომისიოდ მიღების დადგენილი პირობები, უკანონოდ შესყიდულ პროდუქციას ჩარიცხავს საკონტრაქტაციო ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში, მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ გადაეცეს ეს პროდუქცია კონტრაქტანტს (ამასთან მოახდენს კოლმეურნეობებთან ამ პროდუქციის ღირებულების საჭირო გადაანგარიშებას), დააყენებს სათანადო ორგანიზაციების წინაშე საკითხს შესყიდვის შეზღუდვის ან შემცირების და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

მიიღებს გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობებისათვის ფულადი ავანსებისა და კრედიტების, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისათვის — კრედიტების მიცემის შეზღუდვის ან შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მათ დაარღვიეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებანი, აგრეთვე არ შეასრულეს ნათესების მოვლის,

პირუტყვის გასუქების, წველადობისა და სხვა გათვალისწინებული ღონისძიებანი;

კონტროლს გაუწევს სასოფლო-სამეურნეო არტელის მიღებული წესდების დაცვას თვითეულ კოლმეურნეობაში, შეამოწმებს, თუ რამდენად დროულად და სწორად ხდება ანგარიშის გასწორება კოლმეურნეობისათვის შრომის ძირითადი და დამატებითი სახალაურის ხაზით, აგრეთვე შეამოწმებს ფულადი ავანსებისა და კრედიტების გამოყენებას დანიშნულებისამებრ;

მოაწყობს აღრიცხვას და ანგარიშგებას წარმოებისა და დამზადების ხაზით, ვანალიზებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებს საბუღალტრო აღრიცხვის მოწყობაში, ჩაატარებს დოკუმენტურ რევიზიებს საბჭოთა მეურნეობებში და შემოწმებას კოლმეურნეობებში, შეადგენს შეჯამებითს ბალანსებს საბჭოთა მეურნეობებისა და ცალკე კოლმეურნეობების მიხედვით;

მიიღებს ზომებს სამეურნეო ანგარიშის დანერგვისათვის თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, მოაწყობს და განახორციელებს კონტროლს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომის ანაზღაურების და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების მოწყობის დამტკიცებული დებულებების სწორად, შეფარდებისადმი წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის და მისი თვითღირებულების შემცირების მიხედვით;

განიხილავს კაპიტალური მშენებლობისათვის, ტექნიკის შეძენისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებებისათვის კოლმეურნეობათა და კრედიტების გეგმის პროექტს;

განუსაზღვრავს საბჭოთა მეურნეობებს მშენებლობისა და ტექნიკის შეძენისათვის კაპიტალდაბანდებათა წლიურ ლიმიტებს;

განაწილებს ბანკის კრედიტებს საბჭოთა მეურნეობებს შორის და კონტროლს გაუწევს მათ სწორად გამოყენებას;

ჩაატარებს მუშაობას მოწინავე ნორმების, შრომის ორგანიზაციის მეთოდების დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, აგრეთვე გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვისათვის;

მოაწყობს მუშაობას შრომის დაცვისა და შრომის კანონმდებლობის დაცვის, მუშაკებისათვის უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესწავლის დარგში და განახორციელებს კონტროლს ამ საქმისადმი;

მოაწყობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ

საწარმოო, მელიორაციული, წყალთა მეურნეობის, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების კაპიტალური მშენებლობისა და საგზაო მშენებლობის გეგმების შესრულებას;

უხელმძღვანელებს საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას;

კონტროლს გაუწევს აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი მუშაკების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, ბრიგადირების, ფერმებისა და საწარმოო უბნების გამგეების დანიშვნასა და განთავისუფლებას;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს საბჭოს ძირითადი ამოცანები

9. საბჭო იქმნება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დამზადების საკითხთა კოლექტიური განხილვისა და გადაჭრისათვის.

საბჭოს ეკისრება:

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების და ამ გეგმების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხილვა და დამტკიცება;

მეურნეობათა სპეციალიზაციის, მიწათმოქმედების კულტურისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მოწინავე გამოცდილებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევათა დანერგვის საკითხების განხილვა;

გამომუშავების ნორმების სრულყოფის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის დაცვისა და შრომის კანონმდებლობის დაცვის შესახებ წინადადებათა განხილვა;

საკოლმეურნეობათაშორისო და საბჭოთამეურნეობათაშორისო საწარმოთა ორგანიზაციისა და მათი საქმიანობის წარმართვის საკითხების განხილვა;

სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქების, მოწყობილობის, კაპიტალური დაბანდებისა და კრედიტების, საშენ მასალათა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა, რომლებიც სოფლის მეურნეობას გამოეყოფა განაწილებისა და გამოყენების გეგმების განხილვა.



10. საბჭო მოისმენს კოლმეურნობათა თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების ანგარიშს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, აგრეთვე იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორების ანგარიშს, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღებას და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგებას მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით იმ ნაწილში, რომ მათ დაიცვან მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიღების, ანგარიშსწორებისა და ამ მასალებზე შეტანილ განაცხადთა დაკმაყოფილების დადგენილი წესი.

11. საბჭო იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციას შეადგენს, იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულონ ყოველმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან სასოფლო სამეურნეო წარმოებასთან და დამზადებასთან.

საბჭო საჭირო შემთხვევებში გადაწყვეტს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შეუსრულებლობისათვის მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობის საკითხს, აგრეთვე დადგენილი წესით შეაქვს წინადადებანი მათგან იმათი შეცვლის შესახებ, ვინც თავს ვერ ართმევს მინდობილ საქმეს და ცუდად უძღვება მეურნეობას.

საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ბრძანებებით, საბჭო მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორის უფლება-მოვალეობანი

12. ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორი:

— მომსახურებას უწევს იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჯგუფს, რომლებიც სამმართველომ მას გამოუყო;

— აწყობს და კოლმეურნეობის გამგეობისა და საბჭოთა მეურნეობის დირექციის მეშვეობით უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ;



— აწყობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ უმაღლესი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების და დადგენილ ვადებში სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებას;

— სწავლობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობას და შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, აძლევს რეკომენდაციებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებზე და ამ რეკომენდაციებს ასაბუთებს მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეურნეობის შესაბამისი დარგების გაძღოლის კონკრეტული მაგალითებით და ნიმუშებით;

— მონაწილეობს მომსახურების ზონის მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შემუშავებაში და უშუალო მონაწილეობას იღებს კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექციების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების შემდგომი განვითარებისა და შესყიდვის გადიდების ღონისძიებათა გამომუშავებასა და განხორციელებაში;

— სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღებას, დებს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის კონტრაქტაციის ხელშეკრულებებს და წარუდგენს ამ ხელშეკრულებებს სამმართველოს დასამტკიცებლად;

— კონტროლს უწევს, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მიმღებმა პუნქტებმა, სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ კონტრაქტაციის ხელშეკრულებანი;

— ამოწმებს, თუ როგორ ასრულებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გეგმებს;

— კონტროლს უწევს, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაიცვან მიღებული წესი და პირობები, რომელთა დანიშნულებაა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური დაინტერესების გადიდება.

იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან საბჭოთა მეურნეობის დირექტორი სწორად არ უძღვებიან მეურნეობას, არ ითვალისწინებენ საუკეთესო ნიმუშებსა და ხერხებს, აგრეთვე

ინსპექტორ-ორგანიზატორის რეკომენდაციებს, არ ნერგავენ წარმოებაში პროგრესულ ღონისძიებებს, ინსპექტორ-ორგანიზატორი ამას აცნობებს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს და შესაბამისად ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს საჭირო ღონისძიებათა მისაღებად, ითვალისწინებს რა, რომ მეურნეობის საწარმოო ფინანსური, ეკონომიური მდგომარეობისა და სწორად გაძღოლისათვის პასუხს აგებენ კოლმეურნეობის გამგეობა და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

13. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად ინსპექტორ-ორგანიზატორები თავისი დროის მეტ ნაწილს იმყოფებიან უშუალოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში.

ინსპექტორ-ორგანიზატორები მუშაობას აწარმოებენ მჭიდრო კონტაქტით საყრდენ-საჩვენებელ მეურნეობებთან, საცდელ სადგურებთან, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან, საჭიროების შემთხვევაში მოიზიდავენ სხვა ორგანიზაციების სპეციალისტებს კინსულტაციისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და ხარისხის საკითხებზე.

14. ინსპექტორ-ორგანიზატორებს თანამდებობაზე ნიშნავენ და სამუშაოდან ათავისუფლებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და ავტონომიური ოლქის სამმართველო.

15. სამმართველოს უფროსი და ინსპექტორ-ორგანიზატორები განსაკუთრებულ პასუხს აგებენ სახელმწიფოს წინაშე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის და არ შეიძლება მათი მოცდენა მინდობილ საქმისაგან რაიმე სხვა სამუშაოზე.

16. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ გერბისა და თავისი სახელწოდების გამოსახულებით.

შენიშვნა: ეს დებულება სანიმუშოა. ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველომ თავისი ზონისათვის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს დებულების პროექტი და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

28 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 თებერვლის № 138 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ

შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 თებერვლის № 138 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის დანერგვას“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 აგვისტოს № 1452 დადგენილება „კოლმეურნეობებში 1938 წლის მოსავლის საკვები ბალახების სათესლე ფონდების გამოყოფის გეგმის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 26 ივლისის № 831 დადგენილება „1944 წლის მოსავლის ბალახთა თესლის შესყიდვის გეგმის შესახებ“.

3. „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის ცხენსაშენებისა და ჯორსაშენის მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 7 ივნისის № 711 დადგენილების 1 მუხლის ქვებუნქტი „კ“, მე-5 მუხლის ქვებუნქტები „ბ“ და „გ“ და მე-11 მუხლის ქვებუნქტი „ბ“.

4. მუხ. 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 აპრილის № 61 დადგენილებისა „სამრეწველო სამინისტროების სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 29 მარტის № 705 დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 7 ივნისის № 325 დადგენილება „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახთესვის გაფართოებისა და მრავალწლიანი ბალახების მოსაკლიანობის გადიდების ზომების შესახებ“.

6. „მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 მარტის № 188 დადგენილების მუხ. 10 და დანართი № 5.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 8 ივლისის № 730 დადგენილება „კოლმეურნეობებში ბალახთა მეთესლეობის მოწყობისა და ბალახთესვის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 7 აგვისტოს № 873 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ბალახთა სპეციალური მეთესლეობის მეურნეობების დამატებით მოწყობის შესახებ“.

9. „შაქრის ქარხლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 17 თებერვლის № 183 დადგენილების მუხლი 1 და მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ა“.

10. მუხლი 26 და 28-ე მუხლის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 31 მაისის № 590 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ (1949 — 1951 წლები)“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 22 სექტემბრის № 1256 დადგენილება „სპეციალური მეთესლეობის მეურნეობების და მრავალწლიან ბალახთა სათესლე სანერგეების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 27 ოქტომბრის № 1455 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სამინდვრე და საკვები ნათესბალახიანი თესლბრუნვების უსწრაფესად შემოღებისა და ათვისების ზომების შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 21 აგვისტოს № 1080 დადგენილება „სუდანურას ნათესების გაფართოების ზომების შესახებ“.



14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 7 სექტემბრის № 1210 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალწლიან ბალახთა საკუთარი თესლით უზრუნველყოფისა და ბალახთესვის შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 9 თებერვლის № 156 დადგენილება „1951 წელს დასათესად ბალახთა თესლის გაცემის შესახებ“.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 24 მარტის № 438 დადგენილება „1953 წელს საკვები კულტურებისა და ბალახთა თესლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 9 იანვრის № 51 დადგენილება „მეთესლეობის სპეციალურ მეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების ადგილობრივი და სელექციური ჯიშების წარმოების გეგმის შესახებ“.

18. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 9 თებერვლის № 110 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სწორი თესლბრუნვების შემოღებისა და ათვისების ღონისძიებათა შესახებ“.

19. „1958 წლის მოსავლის მარცვლეული, ზეთოვანი კულტურებისა და ბალახთა ჯიშის თესლის დამზადების გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 მარტის № 146 დადგენილების მუხლი 2 და დანართი 9.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. მშაბანაძე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ჯაპახიშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წ. 17 აპრილი, № 260.

29

სარაიონთაშორისო გაზეთების შექმნის შესახებ

„სარაიონთაშორისო გაზეთების შექმნის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის 10 აპრილის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. შეიქმნას ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარაიონთაშორისო გაზეთები და შეწყდეს მიმდინარე წლის 1 მაისიდან რაიონული გაზეთების გამოშვება.

2. ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან:

ა) ამბროლაურის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძის, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ცხაკაიასა და წყალტუბოს სარაიონთაშორისო გაზეთები გამოიცეს „პრავდის“ ნახევარი ფორმატის 4 გვერდის მოცულობით, კვირაში 4 ნომრის პერიოდულობით;

ბ) გურჯაანის, სამგორისა და თეთრიწყაროს სარაიონთაშორისო გაზეთები გამოიცეს „პრავდის“ ნახევარი ფორმატის 4 გვერდის მოცულობით, კვირაში 3 ნომრის პერიოდულობით.

3. დაწესდეს ჰონორარი გაზეთის ერთ ნომერზე 30 მანეთის ოდენობით, ილუსტრაციების რაოდენობა — 4 კლიშემდე ნომერში, საერთო ზომით 500 კვ. სანტ. ხელმოწერის ფასი წელიწადში გაზეთებისათვის, რომლებიც კვირაში 4-ჯერ გამოდის — 3 მან. და 12 კაპ., რომლებიც კვირაში 3-ჯერ გამოდის — 2 მან. და 28 კაპ., საცალო ფასი — 2 კაპ.

4. მოსახლეობის მრავალერიან შემადგენლობასთან დაკავშირებით, დუბლირებულ იქნას:

ა) ახალციხის სარაიონთაშორისო გაზეთი რუსულ და სომხურ ენებზე;

ბ) ბოლნისისა — აზერბაიჯანულ ენაზე;

გ) სამგორისა — აზერბაიჯანულ ენაზე;

დ) თეთრიწყაროსი — რუსულ ენაზე;

5. სარაიონთაშორისო გაზეთების მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ქმედითი დახმარების გაწევა პარტიული ორგანიზაციებისა და საწარმოო სამმართველოებისათვის იმ მხრივ, რომ დარაზმონ მშრომელები. რათა აქტიურად იბრძოლონ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. სახელმწიფო გეგმების და სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მიწისა და ტექნიკის ყველაზე ეფექტიანად გამოყენებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რეზერვების ყოველმხრივ გამოყენებისათვის. სარაიონთაშორისო გაზეთები მოწოდებული არიან ღრმად და ყოველმხრივ გააშუქონ შრომის საუკეთესო მაგალითები და ნიმუშები, პარტიული ორგანიზაციების

ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, აღზარდონ მშრომელები შრომისა და საზოგადოებრივი საქუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, გადაჭრით გამოვიდნენ უყაირათობის, მფლანგველობის, კონსერვატიზმის, სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ.

მთელ თავიანთ საქმიანობაში სარაიონთაშორისო გაზეთების რედაქციები უნდა დაეყრდნონ მუშგლეხკორთა ფართო აქტივს, განავითარონ საზოგადოებრივი საწყისები პრესის მუშაობაში, მიაღწიონ გამოქვეყნებული მასალების მაღალ ქმედითობას.

6. სარაიონთაშორისო გაზეთებისადმი ხელმძღვანელობა, მათი შინაარსისა და დროულად გამოსვლისადმი კონტროლი დაეკისროთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგებს საწარმოო სამმართველოებში.

7. გაზეთების მუშაკთა ტიპობრივი შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები თან ერთვის (იხ. დანართები №№ 1 და 2).

დაუწესდეთ სარაიონთაშორისო გაზეთების რედაქტორებს სამკურნალო დახმარების ყოველწლიურად მიცემა თვითური თანამდებობრივი განაკვეთის 75-100 პროცენტის ოდენობით, აგრეთვე სანატორიულ-საკურორტო საგზურების ღირებულების ანაზღაურება 80 პროცენტამდე.

8. დაევალოთ საქართველოს კპ რაიკომებს ერთი თვის ვადაში გადაწყვიტონ რაიონული პრესის იმ მუშაკთა შრომითი მოწყობის საკითხი, რომლებიც რაიონული გაზეთების გამოშვების შეწყვეტასთან დაკავშირებით თავისუფლდებიან.

9. შეტანილ იქნას სარაიონთაშორისო გაზეთების რედაქტორების თანამდებობანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ნომენკლატურაში.

10. იმის გამო, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში არსებობენ საოლქო გაზეთები, ამ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან სარაიონთაშორისო გაზეთები არ შეიქმნება. რაიონული გაზეთების განთავისუფლებული საშტატო ერთეულების ხარჯზე დაწესდეს საოლქო გაზეთებისათვის თითო გამსვლელი კორესპონდენტი თვითულ ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში 90 მანეთის თვიური განაკვეთით.

11. რაიონულ ცენტრებში, სადაც შეწყვეტილ იქნება გაზეთების გამოშვება, მოეწყოს ადგილობრივი რადიომაუწყებლობა, ამას-



თან გამოყენებულ იქნას რადიომაუწყებლობის რედაქციების საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის შეძენილი გამოცდილება. ადგილობრივ რადიომაუწყებლობის რედაქციებისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროთ პარტიის რაიკომებს. დატოვებულ იქნას ამ რაიონებში გაუქმებული რაიონული გაზეთების შტატების ხარჯზე თითო მუშაკი ადგილობრივი რადიომაუწყებლობის მოსაწყობად და შეყვანილ იქნას იგი პარტიის რაიკომის ნომენკლატურაში. დაუწყესდეთ ამ მუშაკებს თვიური ხელფასი 70-80 მანეთის რაოდენობით და შეყვანილ იქნან ისინი კავშირგაბმულობის რაიონული ორგანოების შტატში.

12. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ მოახდინოს „სოიუზბეჩატის“ ორგანოების სტრუქტურის რეორგანიზაცია რაიონულ რგოლში, ამასთან შექმნას არსებული შტატების ფარგლებში ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების სარაიონთაშორისო კანტორები იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარაიონთაშორისო გაზეთებს დროულად მიტანა ხელმომწერლებისათვის. დაწესდეს ფასდაკლება სარაიონთაშორისო გაზეთების გავრცელებისათვის იმ ფასდაკლების დონეზე, რაც დადგენილია ქალაქის გაზეთების გავრცელებისათვის.

13. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე, რათა დამატებით გამოეყოს 1962 წლის კვარტალში საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ახლადმოწყობილი გაზეთების მისატანად ავტომანქანები და მათი შეძენისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებანი და ამის შესაბამისად გაუდიდდეთ შრომის გეგმა და ხელფასის ფონდი.

14. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ:

ა) მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას საჭირო პოლიგრაფიული მოწყობილობის მიწოდება საერთაშორისო გაზეთების სტამბებისათვის და დამატებითი სახსრების გამოყოფა მის ასანაზღაურებლად;

ბ) გადაწყვიტოს საკითხი, რომ მიზანშეწონილად იქნან გამოყენებული რაიონული სტამბები, რომლებშიაც არ დაიბეჭდება გაზეთები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ ყველა სტამბა უზარალოდ უნდა მუშაობდეს.

15. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს უზრუნველყოს ქალაქებში მდებარე სარაიონთაშორისო გაზეთების რედაქციების მომსახურება ტრანსპორტით საერთო სარკებლობის გარაჟებიდან.

16 დაწესდეს სარაიონთაშორისო გაზეთებისათვის საკდესის საერთო-პოლიტიკური ინფორმაციის ხელმოწერის ფასი მათი საერთო შემოსავლის 2 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მშაველაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ჯაფარიძე.

ქ. თბილისი, 1962 წ. 17 აპრილი, № 262



საქართველოს კბ ცენტრალური კომიტე-
ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1962 წლის 17 აპრილის № 262
დადგენილების დანართი № 2

ტიკოზბრივი შტატები და ხელფასის განაკვეთები

იმ სარაიონთაშორისო ვაზეთების რედაქტორების მუშაკებისა, რომ-
ლებიც კვირაში სამჯერ გამოდის „პრავდის“ ნახევარი ფორმატის
4 გვერდზე

თანამდებობა	ერთეულების რაოდენობა	განაკვეთი
1. რედაქტორი	1	150
2. რედაქტორის მოადგილე (იგივე განყოფილების გამგე)	1	130
3. პასუხისმგებელი მდივანი	1	115
4. განყოფილების გამგე	2	100
5. ლიტმუშაკი	1	70 - 90
6. ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუ- შორი)	1	60
7. გამომშვები	1	60
8. რადისტ-ტელეტაიპისტი	1	60
9. მდივანი-მემანქანე	1	50
10. ბუღალტერი	1	60
11. მემანქანე	1	50
12. კორექტორი	2	65
13. მოფერი	1*	
14. შიკრიკი-დამლაგებელი	1	40
ს უ ლ:	16	

*) მოფერებს ხელფასი დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1958 წლის 2 ოქტომბრის № 1117 დადგენილების შესაბამისად.

შენიშვნა: ვაზეთებში, რომელთა დუბლირება რამდენიმე ენაზე ხდება, და-
მატებით იქნება შემოღებული თანამდებობანი: რედაქტორის
მოადგილისა, 2 მთარგმნელისა, 2 კორექტორისა და ერთი მემან-
ქანისა თვითოეულ გამოცემაზე. მთარგმნელებს ხელფასი დაუწეს-
დებათ ლიტმუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.



საქართველოს კბ ცენტრალური კომიტე-
ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1962 წლის 17 აპრილის № 262
დადგენილების დანართი № 1

ტიკოზგრივი უბანები და ხელფასის განაკვეთები

იმ სარაიონთაშორისო გაზეთების რედაქციების მუშაკებისა, რომ-
ლებიც კვირაში 4-ჯერ გამოდის „პრავდის“ ნახევარი ფორმატის
4 გვერდზე

თანამდებობა	ერთეულების რაოდენობა	განაკვეთი
1. რედაქტორი	1	170
2. რედაქტორის მოადგილე (იგივე განყოფილების ვაშვე)	1	140
3. პასუხისმგებელი მდივანი	1	125
4. განყოფილების ვაშვე	2	110
5. ლიტერატურული მუშაკი	2	70—90
6. სპეცკორი	1-2*	70—90
7. ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუ- შორი)	1	60
8. გამომწვევი	1	60
9. რადისტ-ტელეტაიპისტი	1	60
10. მდივანი-მემანქანე	1	50
11. ბუღალტერი	1	60
12. მემანქანე	1	50
13. კორექტორი	2	65
14. შოფერი	1**	
15. უიკრიკი-დამლაგებელი	1	40
ს უ ლ :	18—19	

*) რაიონების რაოდენობის მიხედვით.

***) შოფერებს ხელფასი დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1958 წლის 2 ოქტომბრის № 1117 დადგენილების შესაბამისად.

შ ე ნ ი მ ვ ნ ა: გაზეთებში, რომელთა დუბლირება რამდენიმე ენაზე ხდება, და-
მატებით იქნება შემოღებული თანამდებობანი: რედაქტორის
მოადგილისა, 2 მთარგმნელისა, 2 კორექტორისა და ერთი მემან-
ქანისა თვითველ გამოცემაზე. მთარგმნელებს ხელფასი დაუწეს-
დებათ ლიტმუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ ვ ა ნ ი ლ ე ბ ა

30 საქართველოს სსრ საწარმოებსა და მშენებლობებზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის საწარმოებსა და მშენებლობებზე გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის. ამ მიზნით ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება. ტრავმატიზმისა და დაავადებათა შემთხვევები გაცილებით ნაკლებია. მაგრამ მათი საერთო დონე, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევის გამო, კვლავ მაღალია.

ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობაში საკმარისად არ ებრძვიან მტვერს. სილიკოზურად საშიშ შახტების ფუჭი ქანების სანგრეებში მოუგვარებელია სველი ბურღვა. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროებში ჰაერის ნაკადის არასწორად განაწილება ხშირად იწვევს სანგრეების დაგაზიანებას.

მტვერწარმოქმნის მაღალი დონე ახასიათებთ წყალტუბოს გუმბრინის წარმოებს, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნების ძირითად საწარმოო პროცესებს, ბათუმის კოფეინის ქარხანას, მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოების სამსხმელო საამქროებს, (თბილისის ფოლადთუჯასამსხმელო, ბათუმის მანქანათმშენებელი, ქუთაისის ელექტრო-ტექნიკური და სხვა ქარხნები).

საკმაო ზომები არაა მიღებული საწარმოებში ხმაურისა და ვიბრაციის შესამცირებლად (რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების საგლინავი საამქროები, თბილისის ფოლადთუჯასამსხმელო ქარხნის სამსხმელო საამქროები და სხვა).

ჯერ კიდევ მოუგვარებელია სამუშაო ადგილების განათება, არ იცავენ განათების ნორმებს.

შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხოების დარგში არსებითი ნაკლოვანებანი და დარღვევები გვხვდება ელექტროტექნიკური მრეწველობის, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობის მთელ რიგ

საწარმოებში, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საავტომობილო მეურნეობებში (ქალაქ თბილისის №№ 6, 8, 10 ავტოსატრანსპორტო კანტორები, წითელწყაროს, ახმეტის, თელავის, დუშეთის, ახალქალაქის კანტორები, აჭარის № 2 სატვირთო ავტოკანტორა და სხვ.) და რესპუბლიკის მშენებლობებზე.

შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაბალმა დონემ, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევამ რესპუბლიკის ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში (ვარკეთილის, კარზახის, არგვეთის, მანგლისის, სამგორის მერქვეობის და სხვ.) გამოიწვიეს უბედური შემთხვევები, რასაც მძიმე შედეგი მოყვა.

მთელ რიგ საწარმოებსა და მშენებლობებზე არღვევენ შრომის კანონმდებლობას სამუშაო დღის რეჟიმის, ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვის, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის წესების დაცვის მხრივ.

საპროექტო ორგანიზაციები და საკონსტრუქტორო ბიუროები დაპროექტებისას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებს, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციასა და მექანიზაციას.

ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელები შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაზე ნაკლებად ზრუნავენ, ხოლო პროფკავშირის საფაბრიკო საქარხნო კომიტეტები სუსტ კონტროლს უწევენ მუშაობის ამ უბანს და ქმედით ზომებს არ იღებენ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

იმისათვის, რომ შესრულდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1962 წლის 28 იანვრის № 73 დადგენილება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 28 თებერვლის № 9 დადგენილება „ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებათა ყურადღება მიექცეს რესპუბლიკის საწარმოებსა და მშენებლობებზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) ორი თვის ვადაში განიხილონ პროექტავშირულ ორგანიზაციებთან ერთად საწარმოებსა და მშენებლობებზე უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მდგომარეობის საკითხი და საჭირო ზომები მიიღონ, რათა შეიქმნას ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობები მუშაკებისათვის და აღმოფხვრას მიზეზები, რომლებიც საწარმოებში იწვევენ უბედურ შემთხვევებს; დააწესონ სისტემატური კონტროლი იმისადმი, რომ საწარმოებსა და მშენებლობებზე დაცულ იქნას უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები და ნორმები, კანონმდებლობა სამუშაო დღისა და დასვენების რეჟიმის, ქალთა და მოზარდთა შრომის დაცვის შესახებ; ამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სამუშაოთა უსაფრთხოების წესების დაცვისათვის; მკაცრ პასუხისმგებაში მისცენ თანამდებობის პირნი, ვინც შრომის კანონებს არღვევს;

ბ) სისტემატურად განიხილონ უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა საქართველოს სსრ ქვანახშირისა და მრეწველობის სხვა დარგში, აგრეთვე მშენებლობებზე;

გ) პროექტავშირების რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების მონაწილეობით 1962 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაონ თვითეული საწარმოსა და მშენებლობისათვის ღონისძიებანი 1962—1965 წლების მანძილზე შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ დამცავ მოწყობილობათა სრულყოფა, წარმოების დამხმარე უბნების აღჭურვა მცირე მექანიზაციის საშუალებებით, ვენტილაციისა და სანათი დანადგარების, გათბობისა და წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესება, საწარმოო ხმაურის შემცირება, გარდერობების, პირსაბნების, საშხაპებისა და ქალთა ჰიგიენის ოთახების მშენებლობა და გაფართოება სანიტარული ნორმების სრული შესაბამისობით.

დასახული ღონისძიებანი განიხილონ საწარმოებისა და მშენებლობათა მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე და შეიტანონ კოლექტიური ხელშეკრულებებში;

დ) მკაცრი კონტროლი გაუწიონ საწარმოების, საამქროებისა და აგრეგატების საექსპლუატაციოდ მიღებას, რათა არ დაუშვან ისეთი

ობიექტების ამოქმედება, რომლებიც არ აკმაყოფილებენ შრომის დაცვის მოთხოვნებს და სადაც არ არის დამთავრებული უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოები.

უზრუნველყონ პროფკავშირული კომიტეტების წარმომადგენლებისა და პროფკავშირთა საბჭოების ტექნიკური ინსპექტორების სავალდებულო მონაწილეობა მიმდებ კომისიებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ აღნიშნული მიზნებისათვის წლიური გეგმებით ასიგნებათა, საჭირო მოწყობილობათა და მასალების გამოყოფა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) 1962—1963 წლებში შეიმუშაოს ყველა იმ შახტისა და მადაროს სახანძრო დაცვის პროექტები, რომლებსაც არ გააჩნიათ მიწისქვეშა წყალსადენები, უზრუნველყოს მათი გაყვანა და მიადწიოს კომპლექსურ გაუმტვერებას იმ შახტებში, სადაც დიდია მტვერწარმოქმნა;

ბ) 1962—1963 წლებში უზრუნველყოს სამრეწველო საწარმოები თანამედროვე საკონტროლო-საზომი აპარატებით საწარმოო გარემოს ფაქტორების მდგომარეობაზე მეთვალყურეობის გასაწევად;

გ) 1962—1963 წლებში განახორციელოს ღონისძიებანი სილიკოზურად სამიშ ქვანახშირის შახტების სანგრეგებში მუშაობის დროს წარმოქმნილი მტვრის გასაუფნებლად და შესასრუტავად.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს პროფკავშირთა დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად და პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან და სახელმწიფო სამთოტექნიკური ზედამხედველობისა და სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით 1962—1965 წლებში შეიმუშაონ და დაამტკიცონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ნორმატივები ყველა იმ ძირითადი სახეობის მანქანების, ჩარხებისა და სხვა საწარმოო მოწყობილობის მიხედვით, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ უსაფრთხოების ტექნიკას და რომელთა მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტები საერთო-საკავშირო ნორმატივებს არ დააწესებენ.

4. დაევალოთ სამეცნიერო-საკვლევე ინსტიტუტების, საპროექტო ორგანიზაციებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვა-

ნელებს შეასრულონ შრომის დაცვის ყველა მოთხოვნა ტექნოლოგიური პროცესების, საწარმოების პროექტების და მოწყობილობათა კონსტრუქციების შემუშავების დროს; გამონახონ მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებისაგან მუშაკების დაცვის შედარებით სრულყოფილი საშუალებანი, სათანადო შემთხვევებისათვის გაითვალისწინონ დამცველი მოწყობილობანი, ბლოკირება და ავტომატურად მოქმედი სასიგნალო აპარატურა; წარადგინონ დასაბუთებული წინადადებანი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ტექნოლოგიური და სამშენებლო დაპროექტების მოქმედ ნორმებსა და წესებში სათანადო ცვლილებათა შესატანად.

დაწესდეს, რომ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა თემატური გეგმები და შრომის დაცვის საკითხების ტიპური გადაწყვეტა შეთანხმებულ უნდა იქნას პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელებს;

ა) მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების კვალიფიკაციის ასამაღლებელი მეცადინეობების პროგრამებით, გაითვალისწინონ უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და შრომის ჰიგიენის წესების და ნორმების შესწავლა, აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობების მოწყობა უსაფრთხო მუშაობის მეთოდების ჩვენებით;

ბ) გააცნონ ყველა ახალბედა მუშას უსაფრთხოების ტექნიკა და რამდენიმე ცვლაში უშუალოდ სამუშაო ადგილზე შეასწავლონ მათ უსაფრთხო მუშაობის მეთოდები; ხელახლა გაუწიონ ინსტრუქტაჟი იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია უსაფრთხოების ტექნიკის დარგობრივი წესებით; არ დაუშვან მუშების ახალ სამუშაოზე გადაყვანა, სანამ ისინი არ შეისწავლიან სათანადო ინსტრუქციას;

გ) 1962 წლის მეორე კვარტალში საწარმოებსა და მშენებლობებზე მოაწყონ სპეციალური კურსები იმ მუშებისათვის, რომლებიც მომსახურებას უწყევნ უსაფრთხოების ტექნიკის მხრივ მაღალი მოთხოვნის შქონე აგრეგატებს, დანადგარებსა და მექანიზმებს; მათ, ვინც კურსებს დაამთავრებს და გამოცდებს ჩააბარებს, მისცენ ამ მექანიზმების მართვის სპეციალური მოწმობები;

დ) საწარმოებში პერიოდულად მოაწყონ ცოდნის შემოწმება უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის დარგში, ხოლო

სადაც აუცილებელია, — შრომის კანონმდებლობისა წარმოებაში დასაქმებული ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის და უზრუნველყონ მათი სათანადო სისტემატური მომზადება;

ე) 1962 წლის განმავლობაში მოაწყონ საწარმოებსა და მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის კაბინეტები ან კუთხეები;

ვ) მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დააკომპლექტონ უსაფრთხოების ტექნიკის მუშაკთა შტატი კვალიფიციური სპეციალისტებით;

6. საქართველოს პროფსაბჭომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან, საკავშირო პროფსაბჭოს თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან და სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად ყოველწლიურად მოამზადოს გამოსაცემად წიგნები, ბროშურები, ცნობარები, მეთოდური მითითებანი შრომის დაცვის საკითხებზე და პლაკატები უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ.

დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული ლიტერატურის ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემა 1963 წელს საჭირო ტირაჟით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს სისტემატურად მოაწყოს გამოსვლებისა და საუბრების გადაცემა უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის საკითხებზე.

8. დაევალოს საკავშირო პროფსაბჭოს თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს მოაწყოს ინსტიტუტის სალაბორატორიო კორპუსის მშენებლობის დამთავრებისთანავე მუდმივმოქმედი გამოფენა, სადაც თვალსაჩინოდ იქნება ნაჩვენები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მიღწევები.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს :

ა) გამოყონ სათანადო სამედიცინო მოწყობილობა და რენტგენის აფსკები მიწის ქვეშ მომუშავე სამთო მუშების სამედიცინო შემოწმებისათვის;

ბ) შეიმუშაონ წინადადებანი სილიკოზსაწინააღმდეგო დისპანსერების მოსაწყობად, პირველყოვლისა ერთ-ერთ ძირითად ქვანახშირის აუზში;

გ) გააძლიერონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ცხელ საამქრო-ებში მიკროკლიმატის ჰიგიენური ნორმირებისათვის და საწარმოო ხმაურისა და ვიბრაციის შესამცირებლად.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამინისტროებსა და უწყებებს აცნობონ საწარმოებს სპეცტანისა-მოსის, სპეცფეხსაცმლისა და დამცველი საშუალებების მუშებისათ-ვის უფასოდ მიცემის დარგობრივი ნორმები.

11. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში სა-მეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლის მიზნით ეთხოვოს საკავ-შირო პროფსაბჭოს მოეწყოს თბილისის შრომის დაცვის სამეცნიე-რო-საკვლევ ინსტიტუტში საწარმოო ხმაურისა და ვიბრაციის წინა-აღმდეგ ბრძოლის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა, აირსა-წმენდი და თბოდაცვის სპეციალიზებული ლაბორატორია, აგრეთვე ინსტიტუტთან შეიქმნას სასწავლო განყოფილება უსაფრთხოების ტექნიკის მუშაკებისა და პროფაქტივისათვის სისტემატური სემინა-რების მოსაწყობად.

12. დაევალოთ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს, საოლქო საბჭოებს და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს გააძლიე-რონ კონტროლი საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობისადმი, შრომის კანონმდებლობის ზუსტად და განუხრელად შესრულებისადმი; მიაღწიონ მძიმე და შრომატე-ვადი სამუშაოების შემდგომი ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ახალი ტექნიკისა და უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგ-ვის, ყველა მუშაკისათვის შრომის ნორმალური სანიტარულ-ჰიგიე-ნური პირობების შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას.

13: საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედ-ველობა, რათა დროულად განიხილონ სასამართლო პასუხისგებაში მიცემულ იმ პირთა საქმეები, რომლებსაც ბრალად ედებათ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევა.

14. საქართველოს პროფსაბჭომ კონტროლი გაუწიოს ამ დადგე-ნილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.	ბ. ლელაშვილი.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

31 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ

დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 822 დადგენილებისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 თებერვლის № 122 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სასკოლო და სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში დაწესდეს ინჟინრის, ეკონომისტის, ტექნიკოსისა და უფროსი ბუღალტრის შემდეგი განაკვეთები:

ინჟინრისა, ეკონომისტისა	— 70-80 მან.	— თვეში
ტექნიკოსისა	— 60-70 მან.	— „
უფროსი ბუღალტრისა	— 65-80 მან.	— „

ამ მუშაკებზე ხელფასის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები ვალდებულ იქნას სახელოსნოების საწარმოო საქმიანობიდან შემოსავლების ანგარიშზე.

2. ხელოსნებსა და საწარმოო მუშებს, რომლებიც მუშაობენ სასკოლო და სასკოლათშორისო სახელოსნოებში და რომლებიც შრომის ანაზღაურებას ღებულობენ ამ სახელოსნოების საწარმოო საქმიანობიდან შემოსავლების ანგარიშზე, თანამდებობრივი და სატარიფო განაკვეთები დაუწესდეთ იმ განაკვეთების დონეზე, რომელიც დადგენილია ადგილობრივი მრეწველობის სათანადო დარგის ხელოსნებისა და მუშებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაგახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 2 მარტი, № 144

32 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 დეკემბრის № 1091 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ

„სახალხო მეურნეობის დარგების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა კვალიფიკა-

ციის ამალგების სისტემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 ივნისის № 577 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 დეკემბრის № 1091 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 ივნისის № 727 დადგენილება „პიონერხელმძღვანელთა მოსამზადებელი და ვადასამზადებელი სკოლის აღდგენის თაობაზე“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება პიონერხელმძღვანელთა მომზადებას.

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 6 ივლისის № 776 დადგენილება „სახალხო მოსამართლეებისა და რაიონული პროკურორების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი კურსების მოწყობის შესახებ“.

3. მუხლი 5 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 6 იანვრის № 19 დადგენილებისა „ექიმთა მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ იმ პირთა მატერიალური უზრუნველყოფის ნაწილში, რომლებიც იგზავნებიან სამედიცინო ინსტიტუტებთან არსებულ დახელოვნების კურსებზე.

4. მუხლები 19 და 20 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 14 მარტის № 308 დადგენილებისა „მარცვლეული კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 22 მარტის № 358 დადგენილება „სახალხო მოსამართლეებისა და ნოტარიუსების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი კურსების მოწყობის შესახებ“.

6. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 30 ოქტომბრის № 1404 დადგენილება „რაიმიწვანების გამგეების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებისა და მექანიკოსების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთწლიანი კურსების მოწყობის შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 12 იანვრის № 15 დადგენილება „კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მივლინებულ ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ ექიმებზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 30 ოქტომბრის № 1404 დადგენილების მოქმედების გავრცელების შესახებ“.

8. „სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებათა ინსტრუქტორ-ბუღალტრების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 27 დეკემბრის № 1782 დადგენილების 1 მუხლის ქვეპუნქტები „გ“ და „დ“.

9. მუხლი 9 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 მაისის № 622 დადგენილებისა „მევენახეობის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“.

10. მუხლი 9 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 ნოემბრის № 1511 დადგენილებისა „1953-1955 წლებში საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში საშენ მასალათა წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძეაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 2 მარტი, № 145.

33 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 აპრილის № 247 დადგენილება „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძეაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 13 მარტი, № 159.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მი-
ნისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 მარტის
№ 159 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად, არის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსაც.

2. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობის, რადიოფიკაციის და ტელევიზიის ყველა საშუალების შეუფერხებელი მუშაობის, განვითარებისა და სრულყოფის უზრუნველყოფა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მოწინავე ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, შრომატევად და მძიმე სამუშაოთა ფართო მექანიზაციის საფუძველზე, იმ მიზნით, რომ ყველა სრული და ყოველმხრივი მომსახურება გაეწიოთ მოსახლეობას, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ყველა სახეობის კავშირგაბმულობით;

პერიოდული პრესის გავრცელებისა და გაგზავნის ორგანიზაცია; სამინისტროსათვის დაწესებული სახელმწიფო გეგმების შესრულება;

კავშირგაბმულობის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ და სხვა მუშაკთა შერჩევა და განაწილება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება; მუშაობის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა კავშირგაბმულობის ორგანოებში, შრომის ნაყოფიერების გადიდება, აგრეთვე კლიენტურის კულტურული მომსახურების გაუმჯობესება.

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 57-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო ხელმძღვანელობს კავშირგაბმულობის საოლქო კანტორების მუშაობას და მათი მეშვეობით კავშირგაბმულობის მათდამი დაქვემდებარებული საქალაქო, რაიონული კანტორებისა და საწარმოების მუშაობას, აგრეთ-

გე სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული კავშირგაბმულობის საქალაქო და რაიონული კანტორების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას.

4. მასზე დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო:

ა) ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიოკავშირი, რადიომაუწყებლობა, რადიოფიკაცია, ტელევიზია, „სოიუზგენიატი“ და სხვ.). საექსპლუატაციო-სამეურნეო საქმიანობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გარდა იმ საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს;

ბ) განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობისადმი და უზრუნველყოფს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის წესდების შესრულებას;

გ) შეადგენს კავშირგაბმულობის საშუალებათა, რადიოფიკაციის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის განვითარების, ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, კაპიტალურ დაბანდებათა, ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომისა და მომარაგების გეგმებს, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსებს.

დადგენილი წესით წარუდგენს გეგმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად, დაუზღვევს დამტკიცებულ გეგმებს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს და განახორციელებს ღონისძიებებს მათი შესრულებისათვის;

დ) ხელმძღვანელობს ახალი ტექნიკის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვას, სახელმწიფო სტანდარტებისა და უწყებრივი ტექნიკური პირობების დანერგვას, მუშაობას გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებას და განაზოვადებს მუშაობის გამოცდილებას ამ დარგში, უზრუნველყოფს, რომ დაქვემდებარებულმა საწარმოებმა შეასრულონ მასალების, ელექტროენერჯისა და სათბობის ხარჯვის დამტკიცებული ნორმები;

ე) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების შემცირება, მშენებლობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხ-



ვო და საძიებო სამუშაოთა ღირებულების შემცირება, ელიქტრონიკის, სათბობისა და მასალების ხარჯვის შემცირება, საწარმოთა რენტაბელობის უზრუნველყოფა და კონტროლს გაუწევს ამ ღონისძიებათა შესრულებას, აგრეთვე მოაწყობს და ჩაატარებს მუშაობას ტექნიკური პროპაგანდის დარგში;

ვ) განახორციელებს კავშირგაბმულობის, რადიოფიკაციის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის საშუალებათა მშენებლობის და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შიგნაწარმოო სატელეფონო კავშირის საპროექტოსაძიებო სამუშაოთა ხელმძღვანელობას, განიხილავს და დადგენილი წესით დაამტკიცებს კაპიტალური მშენებლობის საპროექტო დავალებებს, ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, განახორციელებს კავშირგაბმულობის საშუალებათა მშენებლობისადმი ხელმძღვანელობას;

ზ) განახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასადენო კავშირის, რადიოკავშირის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის ყველა იმ საშუალებათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სხვა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების გამგებლობაში (გარდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსი და გზათა სამინისტროსი). აგრეთვე რადიოკავშირის იმ საშუალებების მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი, რომლებიც იმყოფებიან ცალკეულ მოქალაქეთა სარგებლობაში.

განახორციელებს ღონისძიებებს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის და კავშირგაბმულობის სასადენო საშუალებებით პროგრამების მიღების ხელისშემშლელ გარემოებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მოაწყობს დადგენილი წესით რადიოდანადგარების, სამავთულო გადაცემის კვანძების, რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციას დადგენილი წესით, აგრეთვე საბონემენტო გადასახდელის აკრეფას.

განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ კავშირგაბმულობის დაქვემდებარებულმა საწარმოებმა სწორად შეუფარდონ ტარიფები კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის და უზრუნველყონ მიმოწერის საიდუმლოებისა და ტელეფონით ლაბარაკის საიდუმლოების დაცვა.

თ) მოაწყობს მუშაობას, რათა გავრცელდეს პერიოდული პრესა ხელმოწერით და საცალო გაყიდვის გზით, განახორციელებს პერიოდულ გამოცემათა გავზავნას და მათს მიტანას ხელის მომწერლებისათვის, შეარჩევს გამოსაცემად ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს კავშირგაბმულობის საკითხებზე;

ი) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას დადგენილი წესით გამოყოფილი გეგმებისა და ფონდების მიხედვით, მოაწყობს მასალების დეცენტრალიზებულ დამზადებას და მოახდენს ადგილობრივი მასალების ფონდების რეალიზაციას.

კ) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობას და დადგენილი წესით განახორციელებს მათ დაფინანსებას; გააფორმებს ბანკის შესაბამის დაწესებულებებში კაპიტალდამანდებათა დაფინანსებას; განახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ დროზე შემოვიდეს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალიზებულ ანგარიშზე შემოსავალი და მოგებათა ანარიცხები; უზრუნველყოფს თანხების დროულად შეტანას საქართველოს სსრ ბიუჯეტში;

ლ) განახორციელებს ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრების შერჩევას, გაატარებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამინისტროს საწარმოების დაკომპლექტება კადრებით, მუშაკთა სწორად განაწილება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ხელმძღვანელობას გაუწევს მასობრივი პროფესიების მუშაკთა მომზადებას;

მ) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ შესრულდეს დაქვემდებარებულ საწარმოებში შრომის კანონმდებლობა, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესები, რომ დაწესებული შტატები შეესაბამებოდეს მუშაობის მოცულობას;

ხელმძღვანელობას გაუწევს შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და კონტროლს გაუწევს მათ შესრულებას; განახორციელებს ღონისძიებებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის; უზრუნველყოფს შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ხელმძღვანელობას გაუწევს დაქვემდებარ-

რებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა სოციალისტურ შეჯიბრებას;

ნ) მოაწიოს და კონტროლს გაუწევს დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშების დაყენებას დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით;

ო) განახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ხელმძღვანელობას; განახორციელებს შიგნსაუწყებო საფინანსო კონტროლს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი; განიხილავს და დაამტკიცებს მათს ანგარიშებსა და ბალანსებს; შეადგენს პერიოდულ და წლიურ ნაკრებ საწარმოო და საბუღალტრო ანგარიშებს და დადგენილი წესით წარუდგენს მათ სათანადო ორგანოებს; კონტროლს გაუწევს გაღებული სახსრების სწორად ხარჯვას; განახორციელებს დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის ანალიზს;

პ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებში;

ჟ) დადგენილი წესით მოაწიოს, გარდაქმნის და გააუქმებს კავშირგაბმულობის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; დაამტკიცებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს;

რ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების, აგრეთვე მოსახლეობის მიერ მინდობილ ფასეულობათა დაცვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ს) განახორციელებს სამინისტროს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

5. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

• საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი:

ა) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მთელ საქმიანო-

ბას და უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების განხორციელებას, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებას;

ბ) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53-ე მუხლის შესაბამისად, გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად, ამასთან შეამოწმებს მათს შესრულებას;

გ) შეაჩერებს და გააუქმებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფროსების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

დ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს დადგენილი წესით სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების და მისდამი დაქვემდებარებული რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, თანამდებობათა დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად; დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე დებულებებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესახებ.

6. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეების და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულების საკითხებს, კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებს, საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს, წარმოებისა და მშენებლობის ნოვატორების მოხსენებებს მუშაობის მოწინავე მეთოდების შესახებ, აგრეთვე კადრებთან მუშაობის, კადრების მომზადების, შერჩევისა და განაწილების, სამინისტროს ნომენკლატურულ მუშაკთა დანიშვნისა და განთავისუფლების მდგომარეობის საკითხებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას უთანხმოების შემთხვევაში, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აბელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოისმენს და განიხილავს მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელ მითითებათა შესახებ, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხილავს სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებს.

8. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.



9. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

34 ნატურალური (გაურეცხავი) მატყლის შესყიდვის, შენახვის, კლასირებისა და გადაზიდვის დროს მის წონაში დასაშვები გადახრების ნორმების შემცირების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 თებერვლის № 161 დღგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დასაშვები გადახრების ნორმები ნატურალური (გაურეცხავი) მატყლის წონაში მისი შესყიდვის, შენახვის, კლასირებისა და ავტოსაჭაპანო ტრანსპორტით სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობებისათვის გადაზიდვის დროს და რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს, შემდეგი ოდენობით:

საწყობებში მატყლის ჩაბარების დროს (მატყლის წონის პროცენტულად მიღების ქვითრებით საანგარიშო პერიოდისათვის) —0,4

50 კილომეტრ მანძილზე ავტოსაჭაპანო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს (გამყოლი პირის მიერ მიღებული მატყლის წონის პროცენტულად) —0,1

საწყობებში შენახვის დროს (იმ მატყლის წონის პროცენტულად, რომელიც საწყობმა მიიღო წონით ინვენტარიზაციებს შორის პერიოდში):

მთიანი რაიონებისათვის (ახალქალაქის, წალკის, დმანისის, თიანეთის, ახალციხის, ბორჯომის, ყაზბეგის, დუშეთის, ახმეტის, ლენინგორისა და ჯავის რაიონებისათვის) —0,4

დანარჩენი რაიონებისათვის —0,3

კლასირების დროს (კლასირებისათვის ჩაბარებული მატყლის წონის პროცენტულად) —0,4

რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს (გადასაზიდად ჩაბარებული მატყლის წონის პროცენტულად) —0,5

2. დაწესდეს, რომ დასაშვები გადახრების აღნიშნული ნორმები შეფარდებული იქნება მხოლოდ მატყლის წონის ფაქტიური და-



ნაკლისის შემთხვევაში. ამასთან მატყლის წონაში დასაშვები გადახრების ნორმები ავტოსაჭაპანო და რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს და საწყობებში შენახვის დროს შეფარდებული იქნება 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე, დანარჩენი ნორმები — მთელი წლის განმავლობაში.

იმ მატყლის წონა, რომელიც მიღებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან საწყობში კლასირებისათვის ან ხელახალი კლასირებისათვის, დაწესდება კლასირების ან ხელახალი კლასირების შემდეგ.

იმ მატყლისათვის, რომელიც მიღებულია წონით საწყობში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მრეწველობისათვის არაგაუპიროვნებული წესით გასაგზავნად, შეფარდებული იქნება მხოლოდ წონაში დასაშვები გადახრების ნორმები, რაც დაწესებულია რკინიგზით გადაზიდვის დროს შესაფარდებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 13 მარტი, № 160

35 საცალო ფასების დამტკიცების საკითხები

„სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების, ტექნიკური პირობების, გადაზიდვისა და მომსახურების ტარიფების დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საცალო ფასების განხილვა და დამტკიცება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით:

ს ა ს უ რ ს ა თ ო ს ა ქ ო ნ ლ ი ს ა

მეკარონის ნაწარმი;

დაკლული ფრინველი, სუბპროდუქტები, ძეხვეული და შაშხეული;

ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, მინერალური წყლები;
 ქატო, კობტონი, შროტი, თივა და ნამჯა.

სამრეწველო საქონლისა

უწყებრივი ტანსაცმელი;
 ლითონის ჭურჭელი, ფაიფურისა და ქაშანურის ნაკეთობანი;
 სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა;
 სამენი მასალები (აგური, კრამიტი, კირი, გაჯი);
 მუსიკალური საქონელი.

2. რესპუბლიკაში მოსახლეობისათვის გაწეული კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფასებისა და ტარიფების მოწესრიგების მიზნით დაევალოს კომისიას ამხ. გ. ა. ჯაბუას (მოწვევა), ვ. ა. ჩოფიკაშვილის, ს. ა. ზალდასტანიშვილის, რ. ს. ელიგულაშვილის, მ. ს. ზოდელავას, გ. ი. აფხაძის, ი. კ. კაკალიას, ი. ი. ოგანეზოვის შემადგენლობით ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოდგინოს განსახილველად წინადადებანი მოსახლეობისათვის გაწეული კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფასებისა და ტარიფების დაწესების შესახებ, გარდა ელექტრო და თბოენერჯის და გაზის ფასებისა და ტარიფებისა, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგემგომო კომიტეტი ამტკიცებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ა. ზირაძეძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 19 მარტი, № 174

36

სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობათა წარმოების გაფართოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მიღებული იყო საჭირო ზომები მხატვრულ ნაკეთობათა მასობრივი წარმოების გაუმჯობესებისა და იმ პროდუქციის გარეგანი გაფორმებისა-

თვის, რომელსაც საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოები უშვებენ.

ამასთან სავაჭრო ქსელში შემოდის ნაკეთობანი, რომლებიც უსრულებულია მორთვა-გალამაზების ელემენტებით და დაბალი მხატვრული ხარისხით. საკმაოდ არ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სამხატვრო მრეწველობის ნაწარმზე.

სამხატვრო მრეწველობის მასობრივ ნაკეთობათა გამოშვების გადიდების, მათი ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დავალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიიღონ საჭირო ზომები სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი წარმოების გაფართოებისათვის;

ბ) უზრუნველყონ სამხატვრო მრეწველობის მაღალმხატვრული და იაფი ნაკეთობების დანერგვა მასობრივ წარმოებაში.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში, მის დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებში, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროში, თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოში, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც ამ ორგანიზაციებს დაუწესდათ 1962 წლისათვის, თანამდებობანი მთავარი მხატვრებისა, აგრეთვე უფროსი მხატვრებისა საწარმოებში, რომლებიც სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობებს უშვებენ, შრომის გეგმის, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც საწარმოს დაუწესდა 1962 წლისათვის.

აღნიშნულ თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნა მოხდეს საქართველოს მხატვართა კავშირის რეკომენდაციით.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან და კულტურის სამინისტროს პოლიგრაფგამომცემლობის მთავარ სამმართველოსთან დარგობრივი სამხატვრო საბჭოები, რომელთა შემადგენლობის ნახევარი მაინც უნდა შედგებოდეს

უმადლესი განათლების მქონე, საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ რეკომენდებული მხატვრებისაგან.

4. შეიქმნას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ცენტრალური რესპუბლიკური სამხატვრო საბჭო, რომლის შემადგენლობაში მოეწყოს დარგობრივი სექციები.

დაეკისროს ცენტრალურ რესპუბლიკურ სამხატვრო საბჭოს:

ა) უწყებრივი სამხატვრო საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა;

ბ) სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობათა ხარისხის პერიოდული კონტროლი.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, კულტურის სამინისტროს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საქართველოს მხატვართა კავშირთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და იმ საწარმოების სამხატვრო საბჭოების შესახებ, აგრეთვე მთავარი და უფროსი მხატვრების შესახებ, რომლებიც მხატვრულ პროდუქციას უშვებენ.

6. დაევალოთ საწარმოებს, რომლებიც სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობებს უშვებენ, გამოიყენონ ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის ის ნიმუშებიც, რომლებიც მოეპოვება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ „სოიუზგლავტორგის“ სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო ნიმუშების სრულიად საკავშირო მუდმივი პავილიონის საქართველოს ფილიალს.

საქართველოს ფილიალმა დაამტკიცოს მასობრივი გამოშვებისათვის სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობანი როგორც ფილიალის ნიმუშების, ისე საწარმოო დამუშავების მიხედვით, მხოლოდ იმ პირობით, თუ არსებობს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული ცენტრალური რესპუბლიკური სამხატვრო საბჭოს სათანადო გადაწყვეტილება.

7. მიზანშეწონილად ჩაითვალოს რეგულარულად მოეწყოს რესპუბლიკაში (ორ წელიწადში ერთხელ) სამხატვრო მრეწველობის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობათა ახალი ნიმუშების გამოფენები, ამასთან დაჯილდოებულ იქნან საუკეთესო საწარმოები ახალი ნიმუშების ათვისებისათვის და ცალკეული მხატვრები — ამ ნიმუშების შემუშავებისა და შექმნისათვის.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და კულტურის სამინისტროს

ტროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარმოუდგინონ შეთანხმებული წინადადებანი იმ საწარმოთა წახალისების ზომების შესახებ, რომლებიც წარმატებით ნერგავენ მასობრივ წარმოებაში იაფ და მაღალი ხარისხის მხატვრულ ნაკეთობებს.

9. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნან საწარმოები, რომლებიც მხატვრულ ნაკეთობებს უშვებენ, სპეციალისტ მხატვართა კადრებით, წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს მხატვართა კავშირს, თბილისის სამხატვრო აკადემიასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, განიხილონ საკითხი, რომ მოეწყოს 1962 წელს სამხატვრო აკადემიასთან იმ მხატვართა გადასამზადებელი კურსები, რომლებიც მრეწველობაში იგზავნებიან მთავარი და უფროსი მხატვრების თანამდებობაზე.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, გაითვალისწინოს 1963-65 წლების გეგმების პროექტებით გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების სპეციალისტ მხატვართა მომზადების გაფართოება იმის გათვალისწინებით, რომ სრულად დაკმაყოფილდეს მრეწველობის მოთხოვნილება ამ კადრებზე.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს გამოყონ იმ საწარმოებისათვის, რომლებიც მხატვრულ პროდუქციას უშვებენ, საჭირო ხარისხის ნედლეული და მასალები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიუშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე**.

37 დვრიტის ნედლეულის დამზადებისა და ამ ნედლეულის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების გადიდების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 იანვრის № 31 დადგენილების შესასრულებლად და იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს დვრიტის ნედლეულის დამზადება ყველისა და სამედიცინო მრეწველობის საჭიროებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაილმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ცეკავშირს და საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს:

ა) მოაწიონ მაწივარი ხბოებისა და ბატენების დვრიტის ნედლეულის დამზადება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მოსახლეობაში, ხორცკომბინატებსა და პირუტყვისაკლავ პუნქტებში;

ბ) უზრუნველყონ ხარისხოვანი დვრიტის ნედლეულის დამზადება ინსტრუქციის მტკიცე შესაბამისობით;

გ) ეცნობოთ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 იანვრის № 31 დადგენილებით და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 1962 წლის 26 იანვრის № 57/4 ცოწერილით დაწესებულია შემდეგი შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები 1962 წლის 1 იანვრიდან დვრიტაზე: ხბოს პირველი ხარისხისა — 3 მან. და 20 კაპ., მეორე ხარისხისა — 2 მან. და 56 კაპ., მესამე ხარისხისა — 1 მან. და 92 კაპ.; ბატენის (ცხვრის) პირველი ხარისხისა — 40 კაპ., მეორე ხარისხისა — 30 კაპ. და მესამე ხარისხისა — 20 კაპ.

2. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას დვრიტის ნედლეულის სრულად შეგროვება რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და მოსახლეობაში, დაევალოთ საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს, ცეკავშირს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუ-

შაობა დვრიტის ნედლეულის დამზადების პირობების შესახებ, რისთვისაც გამოსცენ პლაკატები და ინსტრუქციები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ა. ზირაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 23 მარტი, № 186

38 „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივნისის № 396 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა ჩატარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივნისის დადგენილების შესრულებისათვის. ქალაქ თბილისში, რუსთავსა და გორში, კასპის, გორის, ზესტაფონის, ბოლნისის, ცხაკაიასა და მაიაკოვსკის რაიონებში შემოწმებით გამოვლინებულია 2.415 პირი, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, აქედან სამუშაოზე მოწყობილია მათ მიერ მიცემული წერილობითი ვალდებულებების შესაბამისად — 2.056 კაცი, გასახლებულია 94 კაცი.

მაგრამ, როგორც შემოწმებამ დაგვანახვა, მთელი რიგი საქალაქო და რაიონული აღმასკომები არ ახორციელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასახულ ღონისძიებებს, მთლიანად ვერ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. ბრძანებულება არ ყოფილა გამოყენებული იმ

265 კაცის მიმართ, რომლებიც ამ კატეგორიის ელემენტებს ეკუთვნიან.

ბოლნისის რაიონში მხოლოდ ორმა კოლმეურნეობამ მიიღო გადაწყვეტილება იმ ორი კაცის გასახლების შესახებ, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. სოფელ ფახრალის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ საერთო კრების გადაწყვეტილება რაიადმასკომს სრულიად არ განუხილავს, უშედეგოდ დარჩა აგრეთვე სოფ. ქვეშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილება.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, მილიციისა და პროკურატურის ორგანოები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხშირად ფორმალურად უდგებიან პარაზიტული ელემენტების გამოვლინებასთან და გასახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, არაკრიტიკულად ეკიდებიან წარმოდგენილ საბუთებს, არ ამოწმებენ მათ ნამდვილობას და ამის შედეგად იღებენ არასწორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში არ არის დამყარებული სათანადო წესრიგი გასახლებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამორკვევის საქმეში, ასეთ პირებს ხშირად არასწორ ცნობებს აძლევენ.

სამგორის რაიადმასკომმა 1961 წლის 24 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება სოფ. დიღმის მცხოვრებ მ. შ. გენებაშვილის გასახლების შესახებ, რომელიც 1957 წლის მარტიდან გაუბრუნდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას. ამ გადაწყვეტილების შესრულება შეჩერებულ იქნა ქ. თბილისის პროკურატურის განკარგულებით. გენებაშვილს შესაძლებლობა მიეცა თვალისასახვევად მოწყობილიყო სამუშაოზე მთავართბილმშენის მესამე სამშენებლო სამმართველოში, სადაც მხოლოდ სამ დღეს მუშაობდა, შემდეგ კი, იშოვა რა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თვითნებურად მიატოვა სამუშაო. ქალაქ თბილისის პროკურატურამ კი ფაქტების არსებითად შეუპოვებლად 1962 წლის 3 მარტს გააპროტესტა რაიადმასკომის გადაწყვეტილება.

ქ. თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის 1960 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისიდან გასახლებულ იქნა ჭიათურაში ბ. ფარაჯიანი, რომელიც იქ მხოლოდ 6 დღეს მუშაობდა, შემდეგ წარადგინა ზესტაფონის რკინიგზის პოლიკლინიკის მიერ გაცემული ცნობა, რომ მას არ შეუძლია მძიმე ფიზიკური შრომა, და გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან. კალინინის რაიად-

მასკომმა კი რაიონის პროკურორის პროტესტის საფუძველზე 1962 წლის 31 იანვარს გააუქმა თავისი გადაწყვეტილება ფარაჯიანის გასახლების შესახებ.

ქალაქ გორის მცხოვრებმა რ. ი. კონიაშვილმა, რომელიც საქალაქო აღმასკომის 1961 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით გასახლებული იყო ქ. ტყიბულში 2 წლის ვადით, მალე თვითნებურად მიატოვა სამუშაო და დაბრუნდა გორში, სადაც წარადგინა ტყიბულის პოლიკლინიკის მიერ გაცემული ცნობა ავადმყოფობის შესახებ.

ხესტაფონის რაიონში 9.517 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა არ მიუღია 1960 წელს 445 კაცს, ხოლო 1961 წელს — 1009 კაცს. ამავე რაიონის სოფ. კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სრულიად არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში შრომისუნარიანი კოლმეურნეთა 24 პროცენტს, სოფელ ცხრა წყაროს კოლმეურნეობაში — 23 პროცენტს, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში — 28 პროცენტს. მიუხედავად ამისა, არც ერთი კაცი არ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში ბრძანებულების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულება „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივნისის დადგენილება უცილობლივ შესრულდეს ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით; შექმნან შეუწყნარებლობის ატმოსფერო პარაზიტული ელემენტების მიმართ;

ბ) შექმნან ყველა ქალაქში ქუჩის კომიტეტები, საზოგადოებრივი წესრიგის ხელშემწყობი კომისიები სახლმმართველობებთან და კონკრეტული დახმარება გაუწიონ მათ პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, მათი გამოვლინებისა და გასასახლებლად წარდგენის საქმეში;

გ) პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად შექმნან აღმასკომებთან საზოგადოებრივ საწყისებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილებები.



2. საქართველოს სსრ პროკურატურამ განიხილოს პროკურატურის ორგანოების იმ მოქმედებათა სისწორის საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია პარაზიტული ელემენტების გასახლებასთან; სისტემატური კონტროლი გაუწიოს პროკურატურის ორგანოების მუშაობას და მათ მიერ ბრძანებულების შეფარდების სისწორეს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სრული წესრიგი დაამყაროს იმ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამორკვევაში, რომლებიც გასახლებულ უნდა იქნან, და გადაჭარბებით აღკვეთოს არასწორი ცნობების გაცემა.

4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღოს ზომები იმ პირთა მოსაძებნად და პასუხისგებაში მისაცემად, რომლებმაც თვითნებურად დატოვეს სამუშაო და გადასახლების ადგილი. გააძლიეროს მილიციის ორგანოების მეთვალყურეობა იმ პირებისადმი, რომლებიც გასახლების ვადას იხდიან.

5. გაფრთხილება მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, რომ თუ ისინი არ უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივნისის № 396 დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უცილობლივ განხორციელებას, მათ დაედებათ მკაცრი სასჯელი.

6. დაევალოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შეამოწმოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივნისის № 396 დადგენილების შესრულების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა 1962 წლის 1 ივნისისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ანგარიში ამ დადგენილებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძემე**.

39 საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრო-
მითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო
სწავლების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება „საქართველოს სსრ საშუალო ზოგად-
საგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავ-
ლეთა საწარმოო სწავლების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაგახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 31 მარტი, № 209

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

1962 წლის 31 მარტის № 209

დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლი-
ტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების შესახებ

I. საწარმოო სწავლების მიზნები და ამოცანები

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო შრომითი პოლიტექნიკურ
სკოლებში საწარმოო სწავლება ხორციელდება ცხოვრებასთან სკო-
ლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის
შემდგომი განვითარების შესახებ მიღებული კანონის შესაბამისად.
მისი ძირითადი მიზანია შეუერთოს სწავლება საწარმოო, საზოგადო-
ებრივ-სასარგებლო შრომას და მისცეს მოსწავლეებს პროფესიუ-
ლი მომზადება სახალხო მეურნეობის ან კულტურის ერთ-ერთ რი-
მელზე დარგში მუშაობისათვის.

2. საშუალო სკოლაში საწარმოო სწავლება ტარდება მჭიდრო
კავშირში ზოგად და პოლიტექნიკურ განათლებასთან და წარმოად-
გენს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის მთლიანი სისტემის ორგა-
ნულ ნაწილს. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ არჩეული პრო-



ფესიების მიხედვით მუშაობისათვის აუცილებელი ცოდნის, ზერხებისა და ჩვევების ათვისებას; ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადტექნიკურსა და სხვა საგნებში ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება ქმნის საფუძველს კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისა და ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დაუფლებისათვის.

3. მეცადინეობა საწარმოო სწავლებაში ყოველმხრივ უნდა იქნეს გამოყენებული მოსწავლეებში საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომისადმი, როგორც თითოეული ადამიანის წმინდა მოვალეობისადმი სოციალურის გრძნობის გასაღვივებლად და ახალგაზრდობაში კომუნისტური მშენებლის მორალური კოდექსის განსამტკიცებლად.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა ტარდება შრომის საუკეთესო ნიმუშებზე და საზოგადოებრივი მეურნეობის გაძღოლის საიმუშო მაგალითებზე.

II. საწარმოო სწავლების ორგანიზაცია და შინაარსი

4. თითოეული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, როგორც წესი, სპეციალიზებულ უნდა იქნეს მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გარკვეული დარგის მუშაკთა მომზადებაში.

სკოლის ყოველ ცალკეულ კლასში მოსწავლეთა მომზადება, როგორც წესი, ტარდება არა უმეტეს ორი სპეციალობის მიხედვით.

5. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ტიპური დებულების შესაბამისად პროფესიათა და სპეციალობათა მთლიანი სია, რომლის მიხედვით შეიძლება მოსწავლეების საწარმოოსწავლებიან საშუალო სკოლებში მომზადება, დადგენილი წესით მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

6. თითოეული საწარმოოსწავლებიანი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის მოსწავლეთა პროფესიული მომზადების სპეციალობათა სია სასწავლო-საწარმოო ბაზის ჩვენებით მტკიცდება ერთობლივი სიის საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის მიერ, სახალხო განათლების შესაბამის ორგანოთა წარდგენით: აღნიშნული სია წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და სხვა რესპუბლიკურ ორგანიზაციებთან, რომელთათვისაც იწარმოებს კადრების მომზადება, აგრეთვე

საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურ-საბჭოსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოსთან.

იმ პროფესიათა და სპეციალობათა განსაზღვრისას, რომელთა მიხედვით უნდა წარმოებდეს მოსწავლეთა მომზადება თითოეულ სკოლაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზის არსებობა, სკოლადამთავრებულთა შრომითი მოწყობის შესაძლებლობა, ქალთა შრომის თავისებურებანი.

საწარმოსწავლეებიან საშუალო სკოლებში პროფესიათა მიხედვით კადრების მომზადების პერსპექტიული და წლიური გეგმები მუშავდება და მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, მშენებლობაზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, კულტურის დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში ამ კადრებზე მოთხოვნილების შესაბამისად, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და უშუალოდ წარმოებაში კვალიფიციური მუშების მომზადების გათვალისწინებით.

7. მოსწავლეთა მიღება IX კლასში ამა თუ იმ სპეციალობის სწავლების მიზნით წარმოებს შემსვლელთა პირადი სურვილის მიხედვით (სკოლის მიკრორაიონისაგან დამოუკიდებლად). ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსწავლეთა მიერ გამოყვანილებული მიდრეკილებანი და მათი წარმატება იმ საგნებში, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მოცემული სპეციალობის ათვისებისათვის.

IX კლასში შემსვლელები გადაიან სამედიცინო შემოწმებას, რომლის მიზანია გაარკვიოს მათ მიერ არჩეული პროფესიის მიხედვით მუშაობის შესაძლებლობა.

დაავადებათა სია, რომლის მიხედვითაც არ არის ნებადართული გარკვეული პროფესიის მიხედვით მოსწავლეთა საწარმოო სწავლებაზე დაშვება, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ტიპური დებულების შესაბამისად დგინდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა ყოველწლიურად განმეორდეს.



8. საშუალო სკოლაში მოსწავლეთა პროფესიული მომზადება ხორციელდება ზოგადტექნიკური, სპეციალური საგნების შესწავლისა და სპეციალობის მიხედვით პრაქტიკული, საწარმოო სწავლების გზით, რომელიც ტარდება მოსწავლეთათვის შესაძლისი საზოგადოებრივ-სასარგებლო ნაყოფიერი შრომის პროცესში.

9. პრაქტიკული და საწარმოო სწავლების პროცესში მოსწავლეთა შრომის რეჟიმი დგინდება სკოლების მიერ, წარმოებისა და მოსწავლეთა მიერ შესასწავლი სპეციალობის თავისებურებების, ახალგაზრდობის შრომის შესახებ არსებული კანონმდებლობის, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა შეფარდება და მათი შენაცვლება დგინდება სკოლების მიერ, მოსწავლეთა სპეციალური მომზადების პროფილის, სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით ადგილობრივი პირობების გათვალისწინების საფუძველზე.

სოფლის სკოლებში სასწავლო წელი იგება სოფლის მეურნეობის სამუშაოთა სეზონურობის გათვალისწინებით.

10. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა პროფესიული მომზადება მასობრივი და წამყვანი პროფესიების მიხედვით ტარდება თითოეული სპეციალობისათვის განკუთვნილი ერთიანი პროგრამით, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

მოსწავლეთა პროფესიული მომზადება არამასობრივ პროფესიათა და სპეციალობათა მიხედვით ტარდება ტიპური პროგრამების საფუძველზე ადგილებზე შემუშავებული პროგრამებით, რომლებიც გამოცემულია ზემოაღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების მიერ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის განათლების განყოფილებას სკოლების წარდგინებით შეუძლიათ შეიტანონ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით საჭირო ცვლილებები მასობრივი და წამყვანი პროფესიების მიხედვით მოსწავლეთა პროფესიული მომზადების პროგრამებში, თუ ეს ცვლილებები ეთანხმება მოქმედ საჯარო-საკვალიფიკაციო ცნობარებს და არ ამცირებს შესაბამის სპეციალობებში პროფესიული მომზადების საერთო მოცულობას.



11. მოსწავლეთა საწარმოო სწავლება საშუალო სკოლაში ტარდება სამი წლის განმავლობაში (IX-XI კლასები) და, როგორც წესი, ხორციელდება ორ ეტაპად;

პირველი ეტაპი — პირველდაწყებითი საწარმოო სწავლება საწარმოთა და სხვა ორგანიზაციის სასწავლო საამქროებში, სასწავლო მალეხსა და უბნებში, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, ხოლო სოფლის სკოლებში — სასწავლო-საცდელ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მომუშავე მოსწავლეთა ბრიგადებში;

მეორე ეტაპი — შესწავლილი სპეციალობის მიხედვით საწარმოო სწავლების დასრულება უშუალოდ მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, კულტურის დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში.

მოსწავლეთა საწარმოო სწავლება პირველ და მეორე ეტაპზე ხორციელდება მწარმოებლურ, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის პროცესში მათი აქტიური და სისტემატური მონაწილეობით.

12. მოსწავლეთა პირველდაწყებითი საწარმოო სწავლება, როგორც წესი, ტარდება სკოლის IX-X კლასებში, მუდმივი შემადგენლობის სასწავლო ჯგუფებით.

სწავლების ამ პერიოდში მოსწავლეები სისტემატურად, მტკიცედ და შეგნებულად ეუფლებიან პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად პროფესიულ ცოდნა-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია შესწავლილი სპეციალობის მიხედვით საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში არართულ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის.

მოსწავლეთა საწარმოო სწავლებას სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში ხელმძღვანელობენ წარმოების საფუძვლების მასწავლებლები, ხოლო საწარმოებში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში კი მათ მიერ გამოყოფილი სპეციალისტები ინჟინერ-ტექნიკოსთა და სხვა მუშაკთა ან მაღალკვალიფიციურ მუშათა რიცხვიდან.

საწარმოო სასწავლო საამქროებში, სასწავლო მალეხსა და უბნებში, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში პირველდაწყებითი საწარმოო სწავლების დამთავრების

შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ შესამოწმებელ სამუშაოებს სპეციალობის მიხედვით, სასწავლო პროგრამების მოთხოვნათა ფარგლებში.

13. მოსწავლეთა მიერ საწარმოო სწავლების ჯგუფური გავლას დროს ჯგუფის რიცხობრივი შემადგენლობა უნდა განისაზღვროს საშუალოდ 12-17 კაცით.

14. საწარმოო სწავლების მეორე ეტაპის დაწყებამდე — სკოლები მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოებთან, მშენებლობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ერთად განსაზღვრავენ ვადებსა და მოსწავლეთა რაოდენობას, რომლებიც უნდა გაიგზავნონ უშუალოდ საწარმოებში სწავლების დასამთავრებლად; ადგენენ მოსწავლეთა სამუშაო ადგილებზე და ერთ სამუშაოდან მეორეზე გადაყვანის გრაფიკს იმ ანგარიშით, რომ თითოეული მათგანი დაეუფლოს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს დამოუკიდებელ შესრულებას.

15. მეორე ეტაპზე მოსწავლეთა საწარმოო სწავლება, რომელიც ტარდება სამრეწველო საწარმოთა საამქროებში, მალეში, განყოფილებებსა და უბნებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მიზნად ისახავს გააფართოოს და სრულყოს მოსწავლეთა პროფესიული ცოდნა-ჩვევები; მიიყვანოს ისინი სპეციალობის საკვალიფიკაციო დახასიათებით გათვალისწინებულ საჭირო დონემდე; შეასწავლოს სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება; დაეხმაროს წარმოების მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მაღალნაყოფიერი შრომის მეთოდების დაუფლებაში.

მოცემულ პერიოდში საწარმოო სწავლება პროფესიათა მიხედვით მოსწავლეებს შეუძლიათ გაიარონ ინდივიდუალურ სამუშაო ადგილებზე, წარმოებათა მოწინავე ბრიგადებში, ზოგიერთ პროფესიებში კი — მოსწავლეთა ბრიგადებით ან ჯგუფურად მათთვის გამოყოფილ უბნებზე განყოფილებებში, აგრეგატებზე და სხვ.

16. ზოგადტექნიკურ და სპეციალურ ტექნიკურ საგნებში მეცადინეობა ტარდება როგორც სასკოლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში, ისე საწარმოთა, მშენებლობათა და სხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების ტექნიკურ და სასწავლო კაბინეტებში.

სასწავლო ჯგუფებთან აღნიშნულ საგნებში მეცადინეობას ატარებენ სკოლის შესაბამისი მასწავლებლები, აგრეთვე საწარმოთა,

მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ გამოყოფილი სპეციალისტები.

III. საწარმოო სწავლება მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პროფესიათა მიხედვით

17. თითოეული სკოლა მიემაგრება გარკვეულ სამრეწველო საწარმოს, სამშენებლო, სატრანსპორტო ან სხვა ორგანიზაციას, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად ბაზას, ხადაც ეწე უბა მოსწავლეთა საწარმოო სწავლება.

დასაშვებია რამდენიმე სკოლის ერთ მსხვილ საწარმოზე ან ორგანიზაციაზე მიმაგრება.

18. მოსწავლეთა საწარმოო სწავლება სასწავლო საამქროებში, მაღებსა და უბნებში ხორციელდება მოსწავლეთა მიერ იმ სამუშაოთა შესრულების პროცესში, რომლებიც შედის წარმოების საწარმოო პროგრამაში. ამასთან მოსწავლეთა მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს საშუალო სკოლის საწარმოო სწავლების პროგრამასა და სასწავლო-აღმზრდელილობით მიზნებს.

19. იმ პროფესიებში, რომელთა სწავლებაც წარმოების ტექნოლოგიის ან შრომის ორგანიზაციის პირობების გამო არ შეიძლება ჩატარდეს სასწავლო საამქროებში, უბნებსა და მაღებში, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში მოსწავლეთა პირველდაწყებითი პროფესიული მომზადება ეწყობა, როგორც წესი, მოსწავლეთა ჯგუფებით უშუალოდ საწარმოთა და მშენებლობათა სამუშაო ადგილებზე, საწარმოს მიერ გამოყოფილი კვალიფიციური მუშების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ხელმძღვანელობით, აგრეთვე კომუნისტური შრომის ბრიგადებზე, საუკეთესო საწარმოო ბრიგადებზე და მაღალკვალიფიციურ მუშებთან მიმაგრების გზით.

20. საშუალო სკოლებისათვის, რომლებშიც შეუძლებელია მოსწავლეთა საწარმოო სწავლების მოწყობა საწარმოთა, მშენებლობათა, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების ბაზაზე, საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის გადაწყვეტილებების მიხედვით იქმნება სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო სახელოსნოები.

სკოლებისა და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახე-
ლოსნოების მოწყობისა და სასწავლო მიზნებისათვის დანიშნული
მასალების აუცილებელი ფონდები და სახელოსნოებში დამზადებუ-
ლი პროდუქციის მოცულობა უნდა იქნეს გათვალისწინებული ყო-
ველწლიურად სახალხო მეურნეობის გეგნებში, რომლებიც მტკიც-
დება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონო-
მიური ოლქის აღმასკომის მიერ.

21. მოსწავლეთა საწარმოო სწავლების პროცესში სასკოლო და
სასკოლათაშორისო სახელოსნოებს შეუძლიათ შეასრულონ ადგი-
ლობრივ წარმოებათა, სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებათა საწარ-
მოო შეკვეთები, რომლებიც პასუხობენ სასწავლო პროგრამის მო-
თხოვნებს.

აღნიშნული შეკვეთების შესრულებისათვის აუცილებელ მასა-
ლებს მიაწოდებენ დამკვეთნი თავიანთი ფონდებიდან.

22. სასწავლო საწარმოო სახელოსნოების საწარმოო საქმიანო-
ბისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვას, აგრეთვე
მათი პროდუქციის რეალიზაციას სკოლები ახორციელებენ საქარ-
თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

სახელოსნოების ყველა შემოსავალი რჩება სკოლების განკარგუ-
ლებაში და იხარჯება მათ მიერ პირველ რიგში სასწავლო მატერია-
ლური ბაზის განმტკიცებაზე და მოსწავლეებთან კლასგარეშე მუ-
შაობის ორგანიზაციაზე.

23. საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის
გამოყოფილი სასწავლო საამქროები, მალეები და უბნები, აგრეთვე
სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო-
ებიც შეიძლება გახსნილ იქნენ მხოლოდ პროფკავშირის ტექნიკუ-
რი ინსპექციისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ინსპექციის
ნებაართვით და მათში უსაფრთხოების ტექნიკის წესების, სანიტარუ-
ლი და ტექნიკური ნორმების მკაცრი დაცვით.

საწარმოთა სასწავლო საამქროების, მალეებისა და უბნების, აგ-
რეთვე საშუალო სკოლის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების სა-
ნიტარულ ნორმებს, ორგანიზაციისა და მოვლის წესებს, საშუალო
ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოს-
წავლეთა საწარმოო სწავლების ტიპური დებულების შესაბამისად,
ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მოკავში-
რე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებთან, სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს პროფესიულ ტექნიკური განათლების სახელმ-

წიფო კომიტეტთან და პროფკავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

24. იმ პროფესიებსა და სპეციალობებში, რომლებიც დასახელებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1959 წლის 29 აგვისტოს № 629 დადგენილებაში და შეტანილია საშუალო სკოლებში მომზადების სიაში, პროფესიული სწავლება სკოლების მიერ ეწყობა IX-X კლასებში შემდეგი წესით:

IX-X კლასებში ტარდება მოსწავლეთა წინასწარი ზოგადპროფესიული საწარმოო მომზადება (სახეინკლო-სარემონტო, ელექტროსარემონტო და სხვა შესაფერის სამუშაოთა შესწავლა, ლაბორატორიულ-პრაქტიკულ სამუშაოთა შესრულება სპეციალობის მიხედვით და სხვ.), აგრეთვე პროფესიის ათვისებისათვის აუცილებელი ზოგადტექნიკური და სპეციალური საგნების შესწავლა.

XI კლასში მოსწავლეები უშუალოდ საწარმოებში ეუფლებიან ძირითად პროფესიულ ჩვენებს.

ამასთანავე XI კლასების მოსწავლეების ზემოაღნიშნული პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით კონკრეტულ საწარმოებში სწავლების შესაძლებლობას და წესს განსაზღვრავენ სახალხო განათლების ორგანოები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან და პროფკავშირის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, ამასთან უზრუნველყოფენ მოსწავლეებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას მათი ასაკის, სქესისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

IV. სოფლის მეურნეობის პროფესიათა საწარმოო სწავლება

25. სოფლის საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლები ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კარგად მცოდნე მუშაკებს, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ ტრაქტორზე, კომბაინზე, აქვთ აუცილებელი ცოდნა აგროტექნიკასა და მეცხოველეობაში, და აგრეთვე მასობრივი პროფესიის კადრებს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაში, სამშენებლო და სხვა პროფესიებში, რომლებიც სოფლის პირობებში აუცილებელია.

26. მოსწავლეთა საწარმოო სწავლება სასოფლო-სამეურნეო პროფესიათა მიხედვით ტარდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სუზონურობის გათვალისწინებით.

მოსწავლეთა პირველდაწყებითი მომზადება მემცენარეობაში ეწყობა მოსწავლეთა ბრიგადებში ან სკოლების სასწავლო-საცდელ მეურნეობებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწის ნაკვეთებზე.

მოსწავლეთა მომზადება მეცხოველეობაში ეწყობა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ფერმებში საწარმოო სწავლების მთელ პერიოდში.

პირველდაწყებითი ჯგუფური და ინდივიდუალური პრაქტიკული მეცადინეობა ტრაქტორების, კომბაინებისა და მათი ტარების შესასწავლად წარმოებს სკოლების სასწავლო ნაკვეთებში (პოლიგონებში) საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა მიერ სკოლებისათვის გამოსაყენებლად გადაცემულ მანქანებზე.

27. მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სკოლებს გამოეყოფა მიწის ნაკვეთები და საწარმოო ობიექტები, რომელთა სახეობა და ოდენობა ისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, IX-XI კლასების მოსწავლეთა რაოდენობის, სამუშაო დღის ხანგრძლიობის და მოსწავლეთათვის შესაძლისი გამომუშავების, მოსაყვან კულტურათა შემადგენლობის, მუშაობის მექანიზაციის და მოცემული სასოფლო-სამეურნეო ზონის ნიადაგისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უზრუნველყოფენ სკოლებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით, სასწავლო მიზნებისათვის საჭირო ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ინვენტარით, თესვებით, სასუქებითა და საკვებით იმ ცხოველთათვის, რომელთაც მოსწავლეები უვლიან ფერმებში.

28. სოფლის სკოლებში პროფესიული მომზადება მეორე პერიოდში მთავრდება მოსწავლეთა საწარმოო სწავლებით უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში მოსწავლეთა ბრიგადების შემადგენლობით საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ტექნიკური, აგრონომიული და სხვა სპეციალისტების ხელმძღვანელობით, ან მოსწავლეთა ჩაბმით კვალიფიციური მუშების, მექანიზატორებისა და კოლმეურნეების ბრიგადებში, აგრეთვე გამოცდილ ტრაქტორისტებზე, კომბაინერებზე და სხვა სპეციალისტებზე მიმავრების გზით, რომელთა ხელმძღვანელობით მოსწავლეები სრულყოფენ თავის კვალიფიკაციას.

29. თითოეულ სკოლაში საწარმოო სწავლების პროცესში ეწყობა საცდელი მუშაობა მინდვრებზე, რომლებსაც უვლიან მოსწავლეთა ბრიგადები, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნე-

ობების ფერმებში, სკოლის სასწავლო-საცდელ მეურნეობებში და სკოლასთან არსებულ ნაკვეთებზე; იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოცემული რაიონის საცდელ-საჩვენებელ მეურნეობათა თემატიკასთან, აგრეთვე ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანებთან.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროები, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო საკვლევი დაწესებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები მუდმივ დახმარებას უწყევენ სოფლის სკოლებს საცდელი მუშაობის ჩატარებაში, ამარაგებენ მათ ხარისხოვანი თესლით, ამოწმებენ სკოლებს საცდელი მუშაობის მეთოდების, ორგანიზაციისა და მისი შედეგების შეჯამების მხრივ.

V. პროფესიული მომზადება არასაწარმოო პროფესიებში

30. საშუალო სკოლების მოსწავლეთა მომზადება არასაწარმოო პროფესიებში ტარდება სპეციალურ საგნებში თეორიული მეცადინეობის გზით, აგრეთვე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის პროცესში უშუალოდ დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში, ბიბლიოთეკებში, საავადმყოფოებში, საბავშვო ბაგებში, სავაჭრო დაწესებულებებში და სხვა. რომლებიც არიან კარგად აღჭურვილნი და თავის განკარგულებაში ჰყავთ კვალიფიციური კადრები.

სავაჭრო დაწესებულებებში შეიძლება ჩამოყალიბდეს სექციები და განყოფილებები, რომლებსაც მოემსახურებიან საშუალო სკოლის მოსწავლეები, ამ საწარმოების მომუშავეთა ხელმძღვანელობით და მატერიალური პასუხისმგებლობით.

31. ცოდნისა და უნარის შეძენის შემდეგ, მოსწავლეების პროფესიული მომზადება მთავრდება მათ მიერ სტაჟის ინდივიდუალური წესის გავლით, კვალიფიციურ მუშაკთა ხელმძღვანელობით.

VI. სკოლებისა და საწარმოების მოვალეობანი

32. მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ხელმძღვანელობასა და კონტროლს საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში

ახორციელებენ სკოლები, ისინი თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა ინსტრუქტაჟის ჩატარების სისწორესა და ხარისხს, მოსწავლეთათვის განკუთვნილ საწარმოო დავალებათა შესაბამისობას სასწავლო პროგრამულ მოთხოვნებთან, სწავლის დროს მოსწავლეთა გამოყენებას ისეთ სამუშაოზე, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ შესწავლილი პროფესიის საწარმოო სწავლებასთან, შრომის დაცვის მოთხოვნათა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვას, მუშაობის ხარისხსა და მოსწავლეთა წარმატებას საწარმოო სწავლებაში.

33. მოსწავლეთა სწავლების პერიოდში უშუალოდ საწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სკოლა ვალდებულია:

• უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შინაგანაწესის წესებისა და უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ არსებული ინსტრუქციის შეგნებულად დაცვა და აგრეთვე მოსწავლეების მიერ შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მითითებათა შესრულება;

თვალყური ადევნოს მოსწავლეების მიერ მოწყობილობის, იარაღებისა და სამარჯვეების ფრთხილად მოპყრობას, მათ მიერ მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიურ ხარჯვას, მათთვის დავალებულ სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად შესრულებას;

განახორციელოს მეთოდური ხელმძღვანელობა საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე, რომლებიც ატარებენ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებას.

34. მოსწავლეთა პირველდაწყებითი საწარმოო სწავლებისათვის საწარმოები, მშენებლობები და სხვა ორგანიზაციები იქ, სადაც ეს აუცილებელია, ქმნიან სასწავლო საამქროებს, მალებსა და უბნებს, დგამენ თანამედროვე საწარმოო მოწყობილობას, უზრუნველყოფენ იარაღებით, სამარჯვეებით, ნედლეულითა და მასალებით; სასწავლო საამქროებისა, უბნებისა და მალებისათვის ითვალისწინებენ საწარმოო შეკვეთებს, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას სისტემატურად შეასრულონ სასწავლო პროგრამები; მოსწავლეთა სწავლებისა და დახმარების მიზნით, საწარმოებში სამრეწველო შეკვეთების შესასრულებლად, თავისი შრომის ლიმიტების ხარჯზე გამოყოფენ საინჟინრო ტექნიკურ მუშაკებსა და კვალიფიციურ მუშებს.

თითოეული სასწავლო საამქროს, უბნისა და მალის მშენებლობისა და მოწყობის პროექტი მტკიცდება დადგენილი წესის მიხედვით შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციის მიერ (სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, გზათა სამმართველოს და სხვათა) ნორმატივების საფუძველზე, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ და დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 აგვისტოს № 533 დადგენილებით.

35. სასწავლო საამქროები, უბნები და მალეები წარმოადგენენ საწარმოთა, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

რაოდენობა და ხელფასის ფონდი კვალიფიციური მუშების, საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტებისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან საშუალო სკოლის IX-XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლებით საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში, შეიტანება ამ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებრსა და სხვა ორგანიზაციების შრომის გეგმებში.

საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები ანაზღაურდება საშუალო სკოლების მიერ მათთვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული თანხებრჯან.

შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობების აგრონომიული და ტექნიკური პერსონალისათვის, რომელიც ჩამოშლია საშუალო სკოლების IX-XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლებაში, წარმოებს სკოლების ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული თანხებიდან.

36. იმ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, სადაც ტარდება მოსწავლეთა საწარმოო სწავლება, სკოლების დირექტორების თანაბრად პასუხისმგებლები არიან მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებაზე, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის წესებისა და შრომის კანონმდებლობის ზუსტად დაცვაზე, საშუალო სკოლების მოსწავლეების საწარმოო სწავლების განხორციელების დროს.

აღნიშნული ხელმძღვანელები უშუალოდ საწარმოებში მოსწავლეთა სწავლების პერიოდში უზრუნველყოფენ:

მოსწავლეთათვის სამუშაო ადგილების გამოყოფას;

მოსწავლეთათვის დაკისრებულ სამუშაოებზე დავალებათა (განაწესები) დროულ გაცემას იმ ვარაუდით, რომ არ დაუშვან მოცდენები;

ამ დავალებათა შესასრულებლად აუცილებელი მასალების, ნა-, ხევარფაბრიკატების, ნამზადის, დეტალების, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღების, სამარჯვებისა და სხვათა მიწოდებას მოსწავლეთათვის;

მოსწავლეთა მიერ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მაღალნაყოფიერი შრომის მეთოდების ათვისებისათვის პირობების შექმნას;

საწარმოებში მოსწავლეების სამუშაოთა ტექნიკურ ხელმძღვანელობას;

ტექნიკურ კონტროლს, მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიღებასა და აღრიცხვას;

მოსწავლეთა სასწავლო მეცადინეობისათვის სპეციალურ საგნებში და საწარმოო სწავლების მიზნით საინჟინრო-ტექნიკური მუშაებისა და სხვა სპეციალისტების, კვალიფიციური მუშებისა და მუშაკების გამოყოფას და აუცილებელ შემთხვევაში მათ გათავისუფლებას საწარმოო სამუშაოსაგან 12-17 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფის ხელმძღვანელობისათვის;

სამქროების, განყოფილებებისა და უბნების ხელმძღვანელობით საინჟინრო ტექნიკური და სხვა კვალიფიციური მუშაკებით მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ორგანიზაციაში სკოლებისადმი დახმარებას,

უსაფრთხოების ტექნიკის წესებზე მოსწავლეთათვის წინასწარი ინსტრუქტაჟის ჩატარებას მოცემულ საწარმოში მათი მუშაობის დაწყებამდე, და აგრეთვე ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლისას;

მოსწავლეთა კვების პირობებს საწარმოო სწავლების დროს;

სკოლებისათვის საშუალების მიცემას, რათა ჩაატარონ ექსკურსიები სამქროებში, განყოფილებებსა, ლაბორატორიებსა და საწარმოთა სხვა ადგილებში, მეურნეობებსა და ორგანიზაციებში წარმოების პროცესების შესწავლის და პროგრამით სავალდებულო პრაქტიკულ სამუშაოთა ჩატარების მიზნით;

სკოლებისადმი დახმარებას სასკოლო სასწავლო კაბინეტებისა და კლასების ტექნიკის თვალსაჩინო ხელსაწყოებით აღჭურვაში; უსაფრთხოების ტექნიკის, მოწყობილობის მოვლისა და სამუშაოთა შესრულების საუწყებო წესებისა და ინსტრუქციის გადაცემას სკოლების სარგებლობაში.

37. საშუალო სკოლების მოსწავლეები, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც გათვალისწინებულია მუშებზე და მოსამსახურეებზე სპეციალური ტანსაცმლისა და დამცველ საშუალებათა გაცემა, უზრუნველყოფილი იქნებიან ყველა ამით შესაბამისი ნორმების მიხედვით საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯზე.

38. საწარმოები, მშენებლობები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა ორგანიზაციები წარმოებაში მოსწავლეთა სწავლებისას მათი შრომის ანაზღაურებას ახდენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1369 დადგენილების შესაბამისად.

VII. საკვალიფიკაციო გამოცდები

39. საწარმოო სწავლების სრული კურსის დამთავრების შემდეგ საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები გაივლიან მათ მიერ შესწავლილ პროფესიებში საკვალიფიკაციო გამოცდას, რომელიც შეიცავს საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოს შესრულებას.

საკვალიფიკაციო სასინჯ სამუშაოთა ხასიათი განისაზღვრება მოცემულ წარმოებაში მოქმედ საკვალიფიკაციო ცნობარისა და საწარმოო სწავლების პროგრამის მოთხოვნებით.

თითოეული მოსწავლისათვის საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოს შინაარსი დგინდება სკოლასთან შეთანხმებით იმ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების მიერ, სადაც მოსწავლეები გადიოდნენ საწარმოო სწავლებას.

პროფესიებისათვის, რომელთა სასინჯი სამუშაოს ჩატარება არ შეიძლება, მოსწავლეთა კვალიფიკაცია განისაზღვრება უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის მომზადების შემოწმების გზით.

40. საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების მოსწავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი და შინაარსი დგინდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციით, რომელიც შეთანხმებული იქნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოსთან.

საშუალო სკოლის მოსწავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისათვის საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებში მათი ხელმძღვანელობის ბრძანებით იქმნება საკვალიფიკაციო კომისიები, რომლებშიაც შედიან ადმინისტრაციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სპეციალისტები, სადაც მოსწავლეები გადიოდნენ საწარმოო სწავლებას, აგრეთვე სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური მუშაკები. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება საწარმოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მოადგილედ კი — სკოლის დირექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების ხაზით.

საშუალო სკოლის მოსწავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებისას სკოლებში და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, აგრეთვე იმ სკოლებში, სადაც მზადდებიან არასაწარმოო პროფესიები, კომისიის შემადგენლობა დგინდება სარაიონო სახალხო განათლების განყოფილების განკარგულებით. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება ერთ-ერთი ადგილობრივი სამრეწველო საწარმოს წარმომადგენელი, არასაწარმოო პროფესიებში გამოცდის დროს კი — შესაბამისი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

41. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომელთაც დაამთავრეს საწარმოო-სწავლებიანი საშუალო სკოლა, ჩააბარეს გამოსაშვები გამოცდები ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ საგნებში და დაიჭირეს საკვალიფიკაციო გამოცდები, სკოლის მიერ ერთდროულად მიეცემათ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი და სპეციალობის მიღების ერთიანი ნიმუშის მოწმობა სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარისა და საკვალიფიკაციო კომისიის მიერ სატარიფო თანრიგის, კლასის ან წოდების მინიჭების შესაბამისად. მოწმობას ხელს აწერენ საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი.

40 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 28 იანვრის № 71 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 თებერვლის № 190 დადგენილების მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ

„კავშირგაბმულობის საწარმოებში რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციის და მათი სარგებლობისათვის სააბონემენტო ჭირის გადახდევინების გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინის-

ტრთა საბჭოს 1961 წლის 18 აგვისტოს დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 იანვრის № 71 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-3 მუხლი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 თებერვლის № 190 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში კავშირგაბმულობის მომსახურებისა და რადიომოსმენის სააბონემენტო ქირის დავალიანების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 იანვრის № 71 დადგენილებით:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 18 აგვისტოს № 768 დადგენილების შესაბამისად, შენარჩუნებულია 1962 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ოდენობა და წესი იმ რადიომიმღებებისა და ტელევიზორების სარგებლობის სააბონემენტო ქირის გადახდევინებისა და სააბონემენტო ქირის შეტანის ვადაგადაცილებისათვის ჯარიმის გადახდევინებისა, რომლებიც რეგისტრირებულია კავშირგაბმულობის საწარმოებში 1959 წლის იანვრიდან 1962 წლის 1 იანვრამდე, ვიდრე გავიდოდეს სამი წლის ვადა კავშირგაბმულობის საწარმოებში მათი პირველადი რეგისტრაციის დღიდან, აგრეთვე ოდენობა და წესი ამ რადიომიმღებების და ტელევიზორების სარგებლობისათვის შემოსული სააბონემენტო ქირიდან თანხების გადაარიცხვისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტისათვის და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტებისათვის;

ბ) დადგენილია წესი, რომლის თანახმად ყოველგვარი სახიობისა და დანიშნულების რადიოგადამცემ საშუალებათა მოწყობა, მშენებლობა და ექსპლუატაცია სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ, აგრეთვე უცხო ქვეყნების მოქალაქეთა, დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების და მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ, რომლებიც იმყოფებიან სსრ კავშირის ფარგლებში, შეიძლება მოხდეს მხოლოდ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს წინასწარი ნებართვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 31 მარტი, № 210.

41 საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების და- მატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 დეკემბრის № 696 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 36-ე მუხლს დაემატოს მეოთხე აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მოქალაქეთა კუთვნილი შენობის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმების დროს წარდგენილ უნდა იქნას საბჭოთა მეურნეობის დირექციის თანხმობა იმის შესახებ, რომ შენობის შემქმენს გადაეცეს სარგებლობაში მიწის ნაკვეთი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაბახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 2 აპრილი, № 212.

42 იმის შესახებ, რომ შენარჩუნებულ იქნას გაზაფხულ-ზაფხუ- ლის პერიოდში რძის, რძის პროდუქტებისა და კვერცხის ის შესასყიდი და საცალო ფასები, რომლებიც ზამთრის პერიოდში მოქ- მედებენ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 მარტის № 249 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შენარჩუნებულ იქნას, დაწყებული 1962 წლიდან, გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი რძის და კვერცხის ერთიანი შესასყიდი ფასები ამჟამად მოქმედი ზამთრის პერიოდის შესასყიდი ფასების დონეზე, სახელდობრ:

ტონა რძე — 110 მანეთი.

ათი ცალი კვერცხი — 70 კაპიკი.

2. გავრცელდეს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალის-



წინებული კვერცხის შესასყიდი ფასი საბჭოთა მეურნეობებზე.

3. შენარჩუნებულ იქნას, დაწყებული 1962 წლიდან, გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში რძის, რძის პროდუქტებისა და კვერცხის ის საცალო ფასები, რომლებიც ზამთრის პერიოდში მოქმედებენ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საეკგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ 1962 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის მაჩვენებლებში შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც ამ დადგენილებიდან გამომდინარეობენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიოვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 5 აპრილი, № 231.

43 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 თებერვლის № 164 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 სექტემბრის № 1049 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 თებერვლის № 164 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის № 196 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხ. 1 და მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ა“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 სექტემბრის № 1049 დადგენილებისა „თბილისის კინოსტუდიის მუშაობის გაუმჯობესებისა და კინემატოგრაფიისაგან შემოსავლის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 თებერვლის № 164 დადგენილებით ცნობილია ძალადაკარგულად:

ა) „კინოფილმების წარმოებისათვის სადამდგემლო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 19 ივლისის № 982 დადგენილების 1 მუხლის ქვეპუნქტი „ა“ და ქვეპუნქტი „ბ“-ს მეორე აბზაცი;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 28 დეკემბრის № 1451 დადგენილება „იმის შესახებ, რომ უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს დამტკიცონ დადგენების სალიმიტო ღირებულება და ყველა მხატვრული, აგრეთვე სრულმეტრაჟიანი სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური კინოფილმების წარმოების ვადები 3 მილიონ მანეთამდე ღირებულების ფარგლებში“;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 აპრილის № 427 დადგენილება „ლიტერატურული კინოსცენარების ავტორებისათვის და კინოფილმებისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებისათვის დამატებითი გასამრჯელოს მიცემის წესის შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 11 აპრილი, № 237.

44 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 მარტის № 118 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 მარტის № 118 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივ დარაიონებაში შეტანილი იქნას:

ა) ცვლილებანი რესპუბლიკის ზონების მიხედვით ადმინისტრაციული რაიონების განაწილებაში — № 1 დანართის თანახმად;

ბ) ცვლილებანი და დამატებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივ დარაიონებაში — № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 11 აპრილი, № 239.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 11 აპრილის № 239
დადგენილების დანართი № 1

ცვლილებანი განაყოფში — „საქართველოს სსრ ზონები და ადმინისტრაციული რაიონების განაწილება ზონების მიხედვით“

1. VI. მესხეთის მთაგორიანი. ახალციხის რაიონის დაბლობი ნაწილი.
2. VII. ჭავჭავთის მთაგორიანი. მთიანი (ახალქალაქის) ზეგანი ახალქალაქისა და ახალციხის რაიონების ფარგლებში.
3. VIII. სამხრეთ ოსეთისა და ქართლის ურწყავი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების ურწყავი ნაწილი და მათი მოსაზღვრე მთისპირა ურწყავი ნაწილი გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებისა.
4. IX. ქართლის სარწყავი. გორის, დუშეთის, ქარელის, კასპის, მცხეთისა და ხაშურის რაიონების სარწყავი ნაწილი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონების დაბლობი სარწყავი ნაწილი.
5. XX. სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჭავის, ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების მთაგორიანი ნაწილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. ჰირაშაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 11 აპრილის № 239
დადგენილების დანართი № 2

ცვლილებანი და დამატებანი განაყოფში — „ჭიშების დარაიონება კულტურების მიხედვით“

საშემოდგომო ხორბალი:

1. ჯიში ბეზოსტაია 1 (უფხო) დარაიონებულ იქნას IV ზონაში (რაჭა-ლეჩხუმის დაბლობი).
2. ჯიში ნოვოუკრაინკა 83 მოიხსნას დარაიონებიდან IV ზონაში, (რაჭა-ლეჩხუმის დაბლობი), XV ზონაში (შირაქ-კახეთის ველი ურ-

წყავე), XVI ზონაში (ალაზნის სარწყავე) და დარაიონებულ იქნას X ზონაში (ქვემოქართლის სარწყავე), მეთესლეობის ქსელში დაუთესავად.

3. ჯიში თეთრი დოლი, წითელი დოლი, დოლის პური 34-4 და კახი — 8 მოიხსნას დარაიონებიდან IX ზონაში (ქართლის სარწყავე).

საშემოდგომო ქერი:

1. ჯიში პალიდიუმი 187 დარაიონებულ იქნას XV ზონაში (შირაქ-კახეთის ველი ურწყავე).

2. ჯიში ტრები მოიხსნას დარაიონებიდან XV ზონაში (შირაქ-კახეთის ველი ურწყავე).

საგაზაფხულო ქერი:

1. ჯიში კოლხიკუმი 10/30 მოიხსნას დარაიონებიდან XV ზონაში (შირაქ-კახეთის ველი ურწყავე).

სიმინდი:

1. ჰიბრიდი კრასნოდარული 5 დარაიონებულ იქნას XIV ზონაში (სამგორის სარწყავე).

2. ჰიბრიდი კრასნოდარული 4 მოიხსნას დარაიონებიდან XIV ზონაში (სამგორის სარწყავე).

3. ჯიში მინეზოტა 13 ექსტრა მოიხსნას დარაიონებიდან VIII ზონაში (სამხრეთ ოსეთისა და ქართლის ურწყავე) და XII ზონაში (თრიალეთის მთა-ტყიანი).

4. ჯიში ადგილობრივი თეთრი კაჟა და ადგილობრივი ყვითელი კაჟა მოიხსნას დარაიონებიდან IX ზონაში (ქართლის სარწყავე).

5. ჰიბრიდი ვირ — 42 დასაშვებიდან გადაყვანილ იქნას დასარაიონებლად XII ზონაში (თრიალეთის მთა-ტყიანი).

საშემოდგომო ცერცველა:

1. ჯიში პანონისა დარაიონებულ იქნას საკვებად საშემოდგომო ხორბალთან შერევით X ზონაში (ქვემო ქართლის სარწყავე).

თეთრთავიანი კომბოსტო გაზაფხულის ნათესი:

1. ჯიში ხარისგულა და ბორჯომის იდეალი დარაიონებულ იქნას მცხეთის რაიონისათვის IX ზონაში (ქართლის სარწყავე).

ქალნაბი (ყვავილოვანი კომპოსტო):

1. ჯიში მოსკოვეური საკონსერვო დარაიონებულ იქნას I ზონაში (ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი), გარდა ხობის და ზუგდიდის რაიონებისა და ქალაქ ფოთთან შეერთებული სასოფლო საბჭოებისა.

პამიდორი:

1. ჯიში პერემოვა 165 დარაიონებულ იქნას IX ზონაში (ქართლის სარწყავი) მცხეთის რაიონისათვის, X ზონაში (ქვემო ქართლის სარწყავი) და XII ზონაში (თრიალეთის მთა-ტყიანი) დმანისის რაიონისათვის.

2. ჯიში პერვენეც 190 დარაიონებულ იქნას XVI ზონაში (ალაზნის სარწყავი), XII ზონაში (თრიალეთის მთა-ტყიანი) დმანისის რაიონისათვის და I ზონაში (ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი) ხობის, ზუგდიდის რაიონებისა და ქალ. ფოთთან შეერთებული სასოფლო საბჭოებისათვის.

კიტრი:

1. ჯიში რუსთემი 96-1 დარაიონებულ იქნას IX ზონაში (ქართლის სარწყავი), გარდა მცხეთის რაიონისა, და XII ზონაში (თრიალეთის მთა-ტყიანი), გარდა დმანისის რაიონისა.

2. ჯიში მრავალნაყოფა ვსხვ დარაიონებულ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს სათბურებში შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის პროდუქციისათვის.

საჯამთრო

1. ჯიში დონის 39 დარაიონებულ იქნას VI ზონაში (მესხეთის მთა-გორიანი).

ლობიო მწვანე პარკად

1. ჯიში გრიბოვის შაქროვანი 802 დარაიონებულ იქნას ზონებში: IX (ქართლის სარწყავი), XIX (წალკის მთაგორიანი) და XX (სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი).

კარტოფილი

1. ჯიში პრეკულსკის საადრევეო დარაიონებულ იქნას XX ზონაში (სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი).

2. ჯიში ხიბინი — 3 მოიხსნას დარაიონებიდან VII ზონაში (ჯავახეთის მთაგორიანი).

საკვები ჭარხალი

1. ჯიში მამუტი მოიხსნას დარაიონებიდან IX ზონაში (ქართლის სარწყავი).

2. ჯიში ნახევრადშაქროვანი ვარდისფერი მოიხსნას დარაიონებიდან ზონებში: XII (თრიალეთის მთა-ტყიანი) და XIII (დიდი კავკასიონის მთა-ტყიანი).

3. ჯიში კირშეს იდეალი მოიხსნას დარაიონებიდან ზონებში: XII (თრიალეთის მთა-ტყიანი), XIX (წალკის მთაგორიანი) და XX (სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი).

იონჯა

1. ჯიში უნგრული მოიხსნას დარაიონებიდან აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სარწყავი რაიონისათვის.

2. ჯიში სლავური ადგილობრივი დარაიონებულ იქნას ყველა რაიონისათვის, სადაც იონჯა მოჰყავთ.

აბრეშუმის ჭია

1. ჰიბრიდები თეთრპარკიანი 1 თეთრპარკიან ბ 2-ზე (გაუმჯობესებული) და თეთრპარკიანი 2 თეთრპარკიან ბ 1-ზე (გაუმჯობესებული) დარაიონებულ იქნას ზაფხულის სამრეწველო გამოკვებისათვის ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის ზონაში (რაიონები: ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ქალაქ ფოთთან შეერთებულ სოფლის საბჭოები და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი).

2. ჰიბრიდი იმერული კახურზე და კახური იმერულზე დასაშვებიდან გადაყვანილ იქნას დასარაიონებლად ზაფხულის გამოკვებისათვის ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის ზონაში.

3. ჰიბრიდი იმერული კახურზე და კახური იმერულზე დასაშვებიდან გადაყვანილ იქნას დარაიონებისათვის გაზაფხულის სამრეწველო გამოკვებისათვის ზონაში, რომელსაც გურჯაანის ჯიშთაგა-



მოცდის ნაკვეთი ემსახურება (რაიონები: ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და თელავის).

4. ჰიბრიდი ასკოლი ოროზე და ორო ასკოლზე დაშვებულ იქნას გაზაფხულის სამრეწველო გამოკვებისათვის ზონებში, რომლებსაც ზუგდიდის, მახარაძისა და წყალტუბოს მეაბრეშუმეობის ჯიშთაგა-მოცდის ნაკვეთები ემსახურებიან.

თამბაქო

1. ჯიში სამსუნი 940 დარაიონებულ იქნას აფხაზეთის ასსრ მე-თამბაქოეობის ყველა ხარისხოვანი ზონისათვის (I, II და III).

ფორთოხალი

1. ჯიში ვაშინგტონ ნაველი დარაიონებულ იქნას პირველი ზონის ბათუმის და ქობულეთის რაიონების მთისპირა და ბორცვებიანი ნაწილისათვის ზღვის დონიდან 300 — 400 მეტრ სიმაღლემდე (ზღვისპირა სუბტროპიკული და ჭარბტენიანი).

2. ჯიში ვაშინგტონ ნაველი, ჰამლენი და პერვენეცი დარაიონებულ იქნას პირველი ზონის აფხაზეთის ასსრ გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონების ბორცვებიანი ნაწილისათვის ზღვის დონიდან 200 მეტრ სიმაღლემდე (ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი).

ლიმონი

1. ჯიში ახალქართული და დამკვრელი დარაიონებულ იქნას აფხაზეთის ასსრ გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონების ბორცვებიანი და მთისპირა ნაწილისათვის.

გრეიფრუტი

1. ჯიში უთესლო მარში და შედოვი მსხლისებრი დარაიონებულ იქნას პირველი ზონის აფხაზეთის ასსრ გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონების ბორცვებიანი ნაწილისათვის ზღვის დონიდან 200 მეტრ სიმაღლემდე.

2. ჯიში უთესლო მარში დარაიონებულ იქნას აფხაზეთის ასსრ გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონების ბორცვებიანი ნაწილისათვის ზღვის დონიდან 200 მეტრ სიმაღლემდე; პირველი ზონის

აფხაზეთის ასსრ ვალისა და ოჩამჩირის რაიონების ბორცვებიანი და მთისპირა ნაწილისათვის ზღვის დონიდან 250 — 300 მეტრ სიმაღლემდე და პირველი ზონის ბათუმის რაიონის კოროხსგალმა ბორცვებიანი ნაწილისათვის.

ხურმა

1. ჯიში ხიაკუმე და ჯირო (ჩინებული) დარაიონებულ იქნას აფხაზეთის ასსრ გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონებისათვის.

ლეჯო

1. ჯიში კადოტა და ოქტომბრის საჩუქარი დარაიონებულ იქნას აფხაზეთის ასსრ გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაპაძე.

45

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 ნოემბრის № 741 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 ნოემბრის № 741 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. ჯაპახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაპაძე.



46 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 თებერვლის № 158 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

შესაბამისად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 თებერვლის № 158 დადგენილებისა „კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის საქმეში შეზღუდვების გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

I. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 559 დადგენილებაში „სოფლის მეურნეობის პროდუქტების სპეკულაციისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ“:

ა) პირველი მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, აგრეთვე ყველა ორგანიზაციას, გარდა ძირითადი დამამზადებლებისა, ახალი კურკოვანი, თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის, ყურძნის, ღვინის, არყის, დაფნის ფოთლისა და ლუფის გატანა გასაყიდად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მანამ, ვიდრე შესრულდებოდეს დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა“;

ბ) მუხლი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, ბათუმის ფოთისა და სოხუმის სავაჭრო ნავსადგურების უფროსებმა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულმა სამმართველომ არ მიიღონ გადასაზიდად საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული ორგანიზაციებისაგან“;

გ) მუხლი 5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემატური კონტროლი გაუწიოს იმას, რომ საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ გასაყიდად სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის აკრძალვა დაიცვან კოლმეურნეობებმა, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებმა, გარდა ძირითადი დამამზადებლებისა, მანამ, ვიდრე შესრულდებოდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზად-

ბისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა, და აწარმოონ უფრო გადამწყვეტი ბრძოლა სპეკულატური ელემენტების, ღვინო-არყის ნაწარმის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, ამასთან მისცეს ისინი, აგრეთვე მათი ხელშემწყობნი სასტიკ სასამართლო პასუხისგებაში“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 27 მაისის № 306 დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში კეთილშობილი დაფნის კულტურის შემდგომი განვითარებისა და დამზადების საქმის გაუმჯობესების ზომების შესახებ“:

ა) მე-8 მუხლის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აეკრძალოს ყველა ღანარჩენ ორგანიზაციას დაფნის ფოთლის დამზადება და გატანა საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, აგრეთვე აეკრძალოთ კოლმეურნეობებს მისი გატანა რეალიზაციისათვის“;

ბ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულმა სამმართველომ და ბათუმის, სოხუმისა და ფოთის სავაჭრო ნავსადგურების სამმართველოებმა მკაცრი მეთვალყურეობა გაუწიონ და არ დაუშვან, რომ გაიტანონ დაფნის ფოთოლი საქართველოს ფარგლებს გარეთ ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა, გარდა სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირისა (ცეკავშირი)“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 ივლისის № 483 დადგენილებაში „ყურძნისა და გლეხური გამომუშავების ყურძნის ღვინის სახელმწიფო შესყიდვის მოწესრიგების ზომების შესახებ“:

ა) მე-5 მუხლიდან გამოირიცხოს სიტყვები: „ამ დადგენილებით დაწესებულ ფასებში“;

ბ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, აგრეთვე ორგანიზაციებს, გარდა ძირითადი დამამზადებლებისა, ყურძნის ღვინის გატანა გასაყიდად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ“.

II. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. მუხლი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 ივლისის № 483 დადგენილებისა „ყურძნისა და გლეხური გამომუშავების ყურძნის ღვინის სახელმწიფო შესყიდვის მოწესრიგის“.

გების ზომების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 ოქტომბრის № 669 დადგენილება „თამბაქოსა და ციტრუსოვანთა ნაყოფის თავისუფალი გაყიდვისა და გატანის აკრძალვის შესახებ“ იმ დამატებით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 13 ნოემბრის № 751 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1962 წ. 20 აპრილი, № 266

ბ. 31/206.



ბაზომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 370.